



მეცხეთის უნივერსიტეტი

№7-8 (275) სექტემბერი-ოქტომბერი, 2021 წელი

ბამოლის 1990 წლის დეკემბრიდან



უნივერსიტეტის როლი ახალგაზრდა სივრცესა და რეგიონის განვითარებაში

2020-2021 სასწავლო წელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის იყო საიუბილეო – მას დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა. უნივერსიტეტს, ამ მნიშვნელოვანი თარიღის მილოცვის-

თვის, 11 სექტემბერს, ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, ახალციხის,

ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი დეპუტატი ანტონ ობოლაშვილი.

გაგრძელება მე-2 გვ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 6 აგვისტოს, ამერკის ელჩი კელი დეგნანი ესტუმრა. შეხვედრას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე, რექტორის მოადგი-

ლე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი როინ თათუშვილი, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.



გვჭირდება სტუდენტთა თანადგომა აუდიტორიაში დასაბრუნებლად

მაკა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

დანეშობილი სასწავლო წელი. ყველა შეხვედრა გაიმართა დისტანციურ რეჟიმში, ვცდილობთ, სტუდენტებს მივანდობთ მათთვის საჭირო ყველა ინფორმაციას და გავუწიოთ შესაბამისი მომსახურება, მაგრამ პანდემიური ვითარება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს – შეუცვლელია ადამიანური კონტაქტები და სტუდენტებისთვისაც სტუდენტობის მთავარი ნიშლი სწორედ, უშუალო ურთიერთობებია.

გაგრძელება მე-3 გვ.

კეთილსამიერო თანაშემწეობის პრინციპები

მ.3.2



ბარბარე ბალიბინი – ჯონაურის გამარჯვებული

მ.3.10



„მე თაღმათა საამაყო უნივერსიტეტის ნაწილად ვიქცევი“

„თამამად ვიტყვი, რომ იღბლიანი ვარ“

მ.3.11



მ.3.10

ღაბით ვაღიაროთ ~ ვაღიაროთ განვითარებისა და სიხარულის კივილის პოტენციალი



„საჭირო და აუცილებელი“ მეცხეთის თეატრმა ეროვნული დრამატურგიის ფესტივალს უმასპინძლა

მეცხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი გაიმართა. ადგილობრივი მაყურებლისთვის, ქართული და უცხო ქვეყნის თეატრების მონაწილეობით, 18 სპექტაკლი იყო ნაჩვენები. „საჭირო და აუცილებელი“ – ასე აფასებს ფესტივალს მეცხეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლია სულუაშვილი.

გაგრძელება მე-12 გვ.

პირველი გვერდიდან

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა პირველკურსელს. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი საფეხურის სტუდენტია ის, პროფესიულ პროგრამაზე სწავლობს თუ უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე – ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე, დოქტორანტურაზე. ვუსურვებ, მაქსიმალურად წარმატებული ყოფილიყოს მათთვის ჩვენს უნივერსიტეტში გატარებული წლები. ვულოცავ არა მხოლოდ პირველკურსელებს, არამედ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს, თანამშრომელს, პროფესორს, ადმინისტრაციას.

უმთავრეს გამოწვევად ამ სასწავლო წელსაც რჩება პანდემია და ის ვითარება, როდესაც მაქსიმალურად უნდა შევძლოთ და სასწავლო პროცესი არ დავაზარალოთ. რას ნიშნავს – არ დავაზარალოთ სასწავლო პროცესი? ეს ნიშნავს სტუდენტობის მაქსიმალურ ჩართულობას, სილაბუსით გათვალისწინებული მასალის შეუფერხებელ და სრულყოფილ მიწოდებას. რამდენადაც ეს შესაძლებელია, სტუდენტებმა უნდა იგრძნონ სტუდენტური ცხოვრების სილამაზე. სამივე ამოცანა, რომელიც დღეს დგას უნივერსიტეტის წინაშე, რა თქმა უნდა, გარკვეულ ძალისხმევას საჭიროებს.

მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სწავლა მხოლოდ დისტანციურ რეჟიმში არ განვაახლოთ, მაგრამ ამის მთავარი პირობა გახლავთ სტუდენტთა ვაქცინაციის მაჩვენებელი. უნივერსიტეტი, რომელიც ორ მუნიციპალიტეტშია განთავსებული და, ფაქტობრივად, არა მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის სტუდენტებს მოიცავს, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს საზოგადოების წინაშე. განსაკუთრებული სიფრთხილით გვმართებს სწორად გავანალიზოთ ის რისკები, რომელიც პანდემიასთან დაკავშირებით არსებობს.

კარგად გვესმის, რომ დღეს უნივერსიტეტში შექმნილი პანდემიის კერა დაზარალებს არა ერთ ქალაქს, არამედ მთელ ჩვენს მხარეს და ვასცდება კიდევ მას. ეს გასათვალისწინებელია. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტუდენტთა ვაქცინაცია. გულწრფელად გითხრათ, ამაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. სტუდენტთა ვაქცინაციის ძალიან დაბალი მაჩვენებელი გვაქვს, სამწუხაროდ. ზოგადად, სტუდენტობა მთელ ქვეყანაში არ გამოირჩევა აცრის მაღალი მაჩვენებლით, მაგრამ თვალს უნდა გავუსწოროთ სიმართლეს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებში. ჩვენ გვქონდა და გვაქვს რამდენიმე არჩევანი. მაგალითად, გავიზიაროთ იმ უნივერსიტეტების გამოცდილება, რომლებიც, მე ვფიქრობ, ძალიან სწორად მოიქცნენ, სავალდებულოდ ჩათვალეს ვაქცინაცია, ჩვეულებრივ განაახლეს სასწავლო პროცესი პირისპირ რეჟიმში და გახსნეს აუდიტორიები. ვაქცინირებულ სტუდენტებს არანაირი შეზღუდვა არა აქვთ ლექციებზე დასასწრებად, ხოლო აუცრელებს სჭირდებათ კვირაში ერთხელ ტესტი უარყოფითი პასუხით. ასეთია უნივერსიტეტის ერთი ნაწილის მოთხოვნა, რისი უფლებაც აქვს უნივერსიტეტს. ევროპული უნივერსიტეტების ოთხმოცი პროცენტი პირისპირ აგრძელებს 2021-22 სასწავლო წელს, აგრძელებს პირდაპირ და ვაქცინაციით შეიარაღებული. ჩვენ ძალიან დიდი სწრაფვა გვაქვს ევროპული უნივერსიტეტებისკენ, თუმცა, პასუხისმგებლობა შედარებით ნაკლები აღ-

მოჩნდა ქართველ სტუდენტებში, ვგულისხმობ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რომელიც საკუთარ ჯანმრთელობასთან ერთად, ოჯახის წევრების, მეზობლების და საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვას გულისხმობს. შესაბამისად, ჩვენ ამ ეტაპზე უარი ვთქვით ასეთ მკაცრ დათქმაზე იმიტომ, რომ, როგორც მოგახსენეთ, ძალიან დაბალია ვაქცინაციის მაჩვენებელი. სტუდენტთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ძალიან მაღალია იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც არ აპირებს აცრას.

დავინტერესდით და ვცადეთ გაგვეჩვენებინა, რა გახლავთ ამის მიზეზი. სამი ძირითადი მიზეზი სახელდება. პირველი, ეს გახლავთ გარკვეული შიში ახალი ვაქცინის მიმართ და შემდგომი გართულებების მიმართ – რა იქნება 2-3 წლის შემდეგ. რა თქმა უნდა, დეზინფორმაციის სერიოზული შემოტევის წყალობით, სტუდენტებს მოჰყავთ სხვადასხვა დაუზუსტებელი ინფორმაცია, დაუსაბუთებელი არგუმენტი ამასთან დაკავშირებით. შესაბამისად, გვინდა, ამ პირველ მიზეზთან მიმართებით ცალსახად დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია. ჩვენ არ შეგვიძლია დავაძალოთ სტუდენტებს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ სივრცე, სადაც მიიღებენ

რობთ მარტო არც პლანეტაზე და არც ოჯახში. როდესაც ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ დაძლევენ, გაუმკლავდებიან და ახალგაზრდული შემართება აძლევთ ასე ფიქრის საფუძველს, ავიწყდებათ, რომ ყველას გვაქვს ვალდებულება, ვიფიქროთ მცირენლოვან შვილებზე, უფროსი ასაკის მშობლებსა და ბებია-პაპაზე.

მესამე არგუმენტი, რომელიც ახალგაზრდებს აქვთ, ეს არის პიროვნული დამოკიდებულება, რომელიც არანაირ არგუმენტს არ ეყრდნობა. ეს არის საკუთარი შეხედულებიდან, მიდგომიდან,



გვჭირდება სტუდენტთა თანადგომა აუდიტორიუმში დასაბრუნებლად

მასპა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ინფორმაციას პირველწყაროებიდან, უშუალოდ – ინფექციონისტებისგან და იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ისინი ყველაზე მეტად ენდობიან, პროფესიონალებად თვლიან ამ საკითხში. ჩვენ შეგვიძლია პროფესიონალებთან შეხვედრებს გავუწიოთ ორგანიზება; ალბათ, ყველაზე კარგი იქნება, სპეციალისტებთან ერთად იმსჯელონ ყველა იმ შესაძლო გართულების თაობაზე, რაც აფიქრებთ და რის გამოც უარს ამბობენ. ასე რომ, სამედიცინო კუთხით შიშთან დაკავშირებულ თავშეკავებას ჩვენ შეგვიძლია, გარკვეულწილად, დავუპირისპიროთ ამგვარი ტიპის შეხვედრები, რომელიც უახლოეს დროშია გათვალისწინებული. მაღლობა მინდა გადავუხადო დაავადებათა კონტროლის ცენტრს, მის დირექტორს, ბატონ ამირან გამყრელიძეს, რომელმაც სრული მზაობა გამოხატა ასეთი შეხვედრებისთვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ამ საკითხთან დაკავშირებით, შედგა შეხვედრა უნივერსიტეტების ხელმძღვანელებთან და ბატონ ამირანთან. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია, ეს რესურსი გამოვიყენოთ.

მეორე გახლავთ საზოგადოებაში მოარული აზრი იმის შესახებ, რომ გადატანილი კოვიდი ბევრად უფრო ძლიერ იმუნიტეტს გამოიმუშავებს ორგანიზმში და ახალგაზრდებს აქვთ იმედი საკუთარი ახალგაზრდობის, ურჩევნიათ, გადაიტანონ ინფექცია, სამაგიეროდ გამოიმუშავებენ უფრო ძლიერ იმუნიტეტს. თუმცა, რა თქმა უნდა, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. მე კვლავ და კვლავ ხაზს გავუსვამ, როდესაც სტუდენტები „რექტორის საათზე“ ამ არგუმენტით მომმართავენ, მე ვეუბნები, რომ ჩვენ არ ვცხოვ-

რწმენიდან გამომდინარე დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, თავისუფლება სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენ ვერ შევზღუდავთ, ვერ ჩავერევით და ვერ შევიჭრებით სტუდენტის პირად სივრცეში. მხოლოდ და მხოლოდ შეგვიძლია, დავარწმუნოთ. ეს სამი ძირითადი არგუმენტი არის მიზეზი ჩვენს უნივერსიტეტში ვაქცინაციის ძალიან დაბალი მაჩვენებლის.

კიდევ ერთი ღონისძიება, რაც შეიძლება ჩვენ სტუდენტებს შევთავაზოთ, ეს არის ვაქცინაციის პუნქტი ჩვენს კორპუსებში. მზად ვართ, სტუდენტებს რომ არ მოუწიოთ გარკვეული ძალისხმევის განწევა, მიმართონ სხვადასხვა კლინიკას, საავადმყოფოს, შეგვიძლია, უნივერსიტეტში უზრუნველყოთ მასობრივი, ჯგუფური ვაქცინაცია ამ ადამიანებისთვის. კვლავ და კვლავ გვჭირდება მეტი ინფორმაცია, მეტი სიცხადე და მეტი უგულვებელყოფა დეზინფორმაციის, რაც ვაქცინაციას ახლავს თან.

იმის მიუხედავად, რომ ასეთი ვითარებაა, მთავარ გამოწვევად რჩება ცოდნის გადაცემა და განათლების მიღების უწყვეტობა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე ჩვენ გავაგრძელებთ ამ სემესტრში, ძირითადად დისტანციურ მუშაობას. მაღლობა მინდა მოგახსენო ჩვენს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სადაც, ფაქტობრივად, ძალიან მაღალია ვაქცინაციის მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციის უდიდესი ნაწილი მზადაა არის, სტუდენტებს შეხვედრის და უსაფრთხო გარემოს შექმნაში საკუთარი წვლილი უკვე შეიტანა, სასწავლო კურსების დიდი რაოდენობა ჩვენ მაინც დავტოვეთ დისტანციურ რეჟიმზე. ყოველი დღე მარწმუნებს, რომ სწორი გადაწყვეტილება გახლდათ, რადგან ინფიცირების მაჩვენებელი, სამწუხაროდ, არ ჩამოდის მაღალი ნიშნულიდან.

ერთხელ კიდევ ვისარგებლებ შემთხვევით და ჩვენს სტუდენტებს მოვუწოდებ: იმის გათვალისწინებით, რომ ვაქცინაცია არის ნებაყოფლობითი, კიდევ უფრო იზრდება თითოეული თქვენგანის პასუხისმგებლობა, რადგან სწორედ თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, მალე დასრულდეს პანდემია ქვეყანაში, მხარეში, ქალაქში, ოჯახში. შესაბამისად, თქვენ იღებთ გადაწყვეტილებას, დასრულდეს პანდემია უნივერსიტეტში. როდესაც მეკითხებიან სტუდენტები – როდის ვინცებთ კონტაქტურ სწავლებას? მე ყოველთვის ვუპასუხებ – თქვენთან მაქვს კითხვა, ახალგაზრდებო, როდის ვინცებთ კონტაქტურ სწავლებას? მოდით, მალე დავინწყით, მაგალითი ავიღოთ სტუდენტების იმ მცირე ნაწილისგან, რომელთაც სურვილით, აუდიტორიაში გაეგრძელებინა სასწავლო პროცესი, გაიკეთეს ვაქცინა, თავს გრძნობენ არაჩვეულებრივად. ჩვენ გვაქვს მაგალითები, როდესაც ვაქცინირებული თანამშრომლები დაავადდნენ, მაგრამ ავადმყოფობის პროცესმა ბევრად შეუმჩნევლად გაიარა სხვა შემთხვევებთან შედარებით. ამიტომ, მოდით, გავიზაროთ ეს მაღალი პასუხისმგებლობა და დავასრულოთ 2021 წელს პანდემია ჩვენს უნივერსიტეტში.

როგორც არ უნდა გაგრძელდეს სასწავლო პროცესი, მაქსიმალურად ვეცდებით, სტუდენტებისთვის ყველა დახმარება უნივერსიტეტის მხრიდან გაგრძელდეს. ეს იქნება ინტერნეტპაკეტი, ეს იქნება უნივერსიტეტში სივრცის გამოყოფა, რათა შეძლონ კომპიუტერით სარგებლობა, ვაქცინირებული სტუდენტებისთვის შესაძლებლობა, რომ მოვიდნენ უნივერსიტეტში და მაშინაც კი, როდესაც ჯგუფი გადასულია დისტანციურ სწავლებაზე, ლექტორი მათ აუდიტორიაში ჩაუტარებს ლექციას, ხოლო დიდი ნაწილი (არავაქცინირებულები) დისტანციურად იქნებიან ჩართული.

მჯერა, რომ 2021-22 წელი იქნება ნაყოფიერი, საინტერესო წელი რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. ჩვენ მივეჩვიეთ, როგორც მოგვინოდებდნენ ხოლმე, ვიცხოვროთ კოვიდ 19-თან ერთად. ამიტომ დავგეგმეთ კონფერენციები კოვიდ 19-თან ერთად და, პანდემიის გათვალისწინებით, ასე იქნება 2021-22 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში. დავგეგმეთ შეხვედრები, ვაგრძელებთ სააკრედიტაციო პროგრამებზე მუშაობას, ვემზადებით ძალიან სერიოზული სიახლეებისათვის – ეს არის კლასტერული აკრედიტაცია, რადგან 2022 წელს, პირველად ჩვენს ქვეყანაში, ჰუმანიტარული მეცნიერებები და ამ მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამები სხვა სტანდარტებით გაივლიან აკრედიტაციას. ამჯერად სამართლებრივი ბაზა იხვეწება და მუშავდება ამ კუთხით. ასე რომ, ვაგრძელებთ მუშაობას და 2022 წელს ჩვენ მოგვეცემა საშუალება, რომ განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ახალი სტანდარტებით აკრედიტებული პროგრამები გვქონდეს. შემოდგომის სემესტრში სააკრედიტაციოდ მზადდება უმნიშვნელოვანესი პროგრამები – საჯარო მმართველობის, ეკოლოგიის პროგრამა, ასევე, ძალიან მალე გაიგზავნება ასტრონომიის სადოქტორო ინგლისურენოვანი პროგრამა. აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ წელს ახალქალაქში ამოქმედდა უკვე და მ ნოემბრიდან დაიწყება სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ასე რომ, მიუხედავად პანდემიისა, ჩვენს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი გრძელდება. დიდი იმედი მაქვს სტუდენტთა თანადგომის, ვაქცინაციის პროცესის გააქტიურების, რათა აუდიტორიებში დავბრუნდეთ.



კაკასიძის უნივერსიტეტის რექტორთან – ჰუსნუ ქაფუსთან

– ბატონო მერაბ, ოთხი წელი გავიდა, რაც ჩვენს უნივერსიტეტს ახალი რექტორი უყავს. დიდი ხანია იცნობთ ჩვენს რექტორს – მაკა ბერიძეს, ასწავლით მას, შემდეგ – უნივერსიტეტის თანამშრომელი იყო საპასუხისმგებლო პოზიციებზე. მისგანაც ხშირად გვსმენია, რომ თავის მოძღვრად გთვლით. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ინტერვიუ ჩვენს რექტორთან შევხვეთ. გვესაუბრეთ მის პიროვნულ თვისებებზე, მის მოღვაწეობაზე, მის წარმატებაზე, რაც განუყოფელია უნივერსიტეტისგან. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის თქვენგან დახატული უნივერსიტეტის რექტორი. მან ხომ თქვენ შეგცვალათ?

– ჩვენ მომსწრე ვართ იმის, როდესაც ახალ ხელმძღვანელს ძველი, ვინც მანამდე იყო, ან უპირისპირდება, ან დაჩაგრულის მანტიას მოისხამს, ან უკმაყოფილო სახეს მიიღებს, ან ადგება და სხვაგან წავა. ეს ჩვეულებრივი ამბავია ჩვენს სინამდვილეში დღეს. ჩემ შემდეგ მოვიდა ქალბატონი მაკა ბერიძე და არც ერთი ამბავის მიზეზი არ მქონია. რომც მქონოდა, მე პირადად, არ შემიძლია, განზე გავდგე. ასე ვიყავი ყოველთვის, ასე ვარ დღესაც იმიტომ, რომ ეს ჩვენი უნივერსიტეტია, ყველა სხვა. აგერ, როდის მოვდივართ მე და თქვენ, ქალბატონო მარინა, ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ჩვენი არ არის ეს უნივერსიტეტი? ვთქვათ, დაკარგე თანამდებობა, მაგრამ განა შეიძლება ამით დაუპირისპირდე უნივერსიტეტს? არ შეიძლება, ეს არის მთავარი, საერთოდ, დღევანდელ ურთიერთობებში. ბევრი უნივერსიტეტია, სადაც ასეთ ცვლილებას ძალიან უარყოფითი შედეგი მოჰყვება. ამ შემთხვევაში მე ერთი რამ მგონია, ან ადამიანს იმხელა რაღაცა აქვს დასაკარგი, რომ ვეღარ ისვენებს, თავს სწირავს მერე, რომ დაიბრუნოს, ანდა, სხვა საქმე არა აქვს გასაკეთებელი. მე, მაგალითად, მგონია, რომ საქმეც მაქვს პირადად. თუ საქმის გაკეთება გინდა, ნებისმიერ თანამდებობაზე გააკეთებ ადამიანი საქმეს. ასე იქნება, ალბათ, როდესაც ქალბატონი მაკა თავის საბოლოო ვადას ამოწურავს. აგერ, უკვე მეორე არჩევნები მოდის მისი და როდესაც დაამთავრებს, დარწმუნებული ვარ, როგორც ამბობენ, ხავერდოვანი ურთიერთობა იქნება ასევე იმიტომ, რომ თუ ძველი და ახალი, გარკვეულწილად, ერთ მიზანს დაისახავს, ასეთ შემთხვევაში პროგრესი სახეზეა. თანაც, გააჩნია, ვინ არის ეს ახალი, როგორ ხედავს ის და შენ როგორ ხედავ. შეუძლებელია, რომ მოვიდეს ცვლა და ყველაფერი იდენტური იყოს, ზუსტად ისე გავრძელდეს, როგორც იყო მანამდე. ასეთი რამე შეუძლებელია, გამორიცხულია, მითუმეტეს, ისეთი პრინციპული და საქმისადმი დამოკიდებულებით შეუპოვარი ადამიანის შემთხვევაში, როგორც ჩვენი რექტორია.

– რას გულისხმობთ ამ სიტყვების მიღმა?

– ის არ არის პიროვნება, რომ

მას დაავალო რამე, ან დააძალო ან სხვა მაგის მაგვარი. შეიძლება გკითხოს რაღაცა, მაგრამ არავის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ეტყვი შენ და მორჩა. თუ გონებაში თვითონ არ გადაწყვეტს საკითხს, შეუძლებელია რაიმე პრობლემაზე გავლენის მოხდენა. რით არის განსაზღვრული ეს?

– თქვენ სწორად აღნიშნეთ, მე დიდი ხანია ვიცნობ ქალბატონ მაკას, ვიცნობ სტუდენტობიდან,

რაბდელში აქვს ერთგან ასეთი ფრაზა – დრომ თუ მოიტანა, ადამიანი ფულუროდან გამოხტებაო. ესე იგი, რა ხდება, დრო ძალიან მნიშვნელოვანია, დრომ უნდა მოიტანოს ეს რაღაცები. ამასთან, შესაბამისი პირობები უნდა ჰქონდეს, პირობებში ვგულისხმობ ადამიანის თვისებებს.

– თუ გავყვებით თქვენს აზრს, ბატონო მერაბ, ქალბატონი მაკა დროის მოთხოვნილება ჩვენს უნივერსიტეტში. რომელ თვისებებს გამოარჩევდით მისი ხასიათიდან, რომელმაც განაპირობა მისი წარმატებული მოღვაწეობა?

– მე ვისაუბრებ იმაზე, რა დადებითაც ვხედავ მასში, საქმისადმი აუცილებელს.

ჩვენი რექტორი, არც ერთ შემთხვევაში, თუ საქმის არსში გარკვეული არ არის, თუ ძირფესვიანად არ შეისწავლა ესა თუ ის პრობლემა, საქმეს ისე არ შეუდგება. ეს არ არის ადვილი. რამდენია ისეთი – ხელს აუქნევ და მიდი, აბა – შენ ეს უნდა გააკეთო. თავს დაგიქნევს, გაივლის და წავა. ეს ძალიან მძიმეა ხოლმე. მე ხშირად მქონია ასეთი შემთხვევა. მერე ამ ადამიანთან ურ-

ლობა უნდა, სხვანაირი განათლება უნდა. მე რამდენიმე ინგლისურენოვან სტატიაზე ვიშუშე მასთან ერთად, ძალიან გამაადვილდა, რადგან მე არ ვიცი ინგლისური. დროს რა ვუთხრა, თორემ ორ სერიოზულ ნიგნს ვამზადებთ ერთობლივად და ამიტომ შემოიღია ვთქვა ის, რასაც ვამბობ.

არ შეიძლება, არ ვთქვით მისი სერიოზული მეცნიერული ალღოს შესახებ. სიმართლე გითხრათ, ადმინისტრაციული კუთხით მოღვაწეობისას მენანება მისი დრო, ის რასაც აკლებს მეცნიერებას. დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ ის ამოსწევს ამას, როგორც საქმისა.

დიდი მისი როლი ზოგადად და კერძოდ ჰუმანიტარული მიმართულების სადოქტორო პროგრამის ჩამოყალიბებაში. იგი იყო ჯერ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო საბჭოს მდივანი და შემდეგ, ასევე, მდივანი ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საბჭოს, ჯერ 2014 წელს და შემდეგ 2020 წელს. სადოქტორო საბჭოს მდივნობა არ არის მხოლოდ ოქმის წერა. ჩვენთან ხომ ახლად შეიქმნა უნივერ-

სიტეტი სადოქტორო პროგრამებით, ეს კი სერიოზულ საქმიანობას მოითხოვდა, რასაც შესანიშნავად გაართვა მან თავი. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით, რედაქტორობით წარმატებული იქნება სამეცნიერო „გულანისი“ ელექტრონული გამოცემა, რომელიც თავის სიტყვას იტყვის, როგორც რეფერირებადი გამოცემა. – შურნალ „არავში“, რომლის რედაქტორიც თქვენ ბრძანდებით, მისი დაარსებიდან მოყოლებული, ქალბატონი მაკას მრავალი ინტერვიუ და სტატია დაიბეჭდა, ძალიან საინტერესო და შთაბეჭდილი. როგორც რედაქტორი, როგორ შეაფასებთ მის შურნალისტურ საქმიანობას? – მე ვფიქრობ, მისგან დადებითად საუკეთესო შურნალისტი არ დამაინტერესებდა. არ დამაინტერესებდა მისი ინტერვიუები ვაუა აზარაშვილთან, რეზო მიშველაძესთან, ირაკლი ვაშაყმაძისთან, რამაზ პაჭარიძისთან, ომარ ჯაყელთან. განსაკუთრებით კარგად მახსოვს ქალბატონ დამანა მელიქიშვილთან, როდესაც ორივე ზღვაში ცურავდა იმიტომ, რომ ორივე ლინგვისტია, ორივე მეცნიერია და აქ ყველაფერი გაშლილია და ყველაფერი კარგად არის, მაგრამ სანამ ის ინტერვიუსთვის მივიდოდა, მახსოვს, რამდენს მუშაობდა. შურნალისტი, მასშტაბურობის გარეშე, თამაშია და ჭორიკობა. ამიტომ არის დღეს, რომ ხშირად გვიჭირს შურნალისტიკაში. რა თქმა უნდა, ამას ყველაფერს სჭირდება ძალიან სერიოზული კომუნიკაბელურობა. აბა, დაუჯექი რამაზ პაჭარიძეს, ცხონებული. სხვათა შორის, როგორც მახსოვს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ჩანერა ეს ინტერ-

„ჩვენი ჩემსოჯი აჩის თანაგორჯოჲე განათქაის, თანაგორჯოჲე უნივერსიტეტის უმჯინედი“

ინტერვიუ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორთან, პროფესორ მერაბ ბერიძესთან

ლექციებს ვუკითხავდი. ის ყოველთვის იყო აქტიური, ყოველთვის ჰქონდა ლიდერის თვისებები და, რაც მთავარია, სწავლობდა შესანიშნავად. მახსოვს, მათი ჯგუფი თბილისში დამყავდა თამაზ გამყრელიძის, თედო უთურგაიძისა და სხვათა ლექციების მოსასმენად. თქვენ გახსოვთ ჩვენი ცხვირიანი ავტობუსი, აი, იმ ავტობუსში ჩავსხამდი სტუდენტებს და საღამოს 6 საათზე იქ ვასწრებდი ლექციებს. რატომ? იმიტომ, რომ კარგად სწავლობდნენ და ვფიქრობდი, რამე არ დაკლებოდათ. ახლაც, კოვიდის პრობლემა რომ არ იყოს, რატომაც არა, სიამოვნებით, მაგრამ ექსპედიციებსაც ვეღარ ვახერხებთ. ახლა შეგიძლია, ნებისმიერი უნივერსიტეტიდან აქეთ მოიყვანო ადამიანი. მე მიმყავდა მაშინ ესენი თბლისში. ჩამოთვალას არ დაეინყებ იმ პირველი თაობის, შესანიშნავი თაობის, მართლაც, დღეს შესანიშნავი ქალბატონებისა და მამაკაცების, რომლებმაც უნივერსიტეტელობა პრინციპად აქციეს მაშინ, დიდი ერთგულები იყვნენ და დღევანდლამდე რჩებიან თავიანთი და ჩვენი უნივერსიტეტის ერთგულებად.

ჩემი აზრით, ურთიერთობები, წარსული განაპირობებს დღევანდელობას, დღევანდელია – მომავალს, მოგვხსენებთ. უკვე მდ არ მიდის ურთიერთობები, ხომ სწორია? როდისმე ყოფილა, რომ მე და თქვენ ხმამაღალი სიტყვა გვეთქვას? არ ყოფილა არასოდეს. ვერც გავიხსენებ იმიტომ, რომ ეს არც თქვენი და არც ჩემი სტილი არ არის; მაგის გარდა, ურთიერთპატივისცემაზეა ეს ყველაფერი დამოკიდებული.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენს რექტორს აქვს ადამიანების დაფასებისა და პატივისცემის სერიოზული თვისება. ჩემი აზრით, ეს შთაბეჭდილია.

საერთოდ, ადამიანები იბრძვიან თანამდებობისათვის, მაგრამ ბრძოლასაც თავისი ფორმები აქვს, თავისი ეთიკა აქვს. არიან ადამიანები, რომელთა ყოფნა ამა თუ იმ თანამდებობაზე აუცილებელია, მას მოძებნის ვეყვანა. მიხეილ ჯავახიშვილს არსენა მა-

სიტეტი სადოქტორო პროგრამებით, ეს კი სერიოზულ საქმიანობას მოითხოვდა, რასაც შესანიშნავად გაართვა მან თავი.

დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით, რედაქტორობით წარმატებული იქნება სამეცნიერო „გულანისი“ ელექტრონული გამოცემა, რომელიც თავის სიტყვას იტყვის, როგორც რეფერირებადი გამოცემა.

– შურნალ „არავში“, რომლის რედაქტორიც თქვენ ბრძანდებით, მისი დაარსებიდან მოყოლებული, ქალბატონი მაკას მრავალი ინტერვიუ და სტატია დაიბეჭდა, ძალიან საინტერესო და შთაბეჭდილი. როგორც რედაქტორი, როგორ შეაფასებთ მის შურნალისტურ საქმიანობას?

– მე ვფიქრობ, მისგან დადებითად საუკეთესო შურნალისტი არ დამაინტერესებდა. არ დამაინტერესებდა მისი ინტერვიუები ვაუა აზარაშვილთან, რეზო მიშველაძესთან, ირაკლი ვაშაყმაძისთან, რამაზ პაჭარიძისთან, ომარ ჯაყელთან. განსაკუთრებით კარგად მახსოვს ქალბატონ დამანა მელიქიშვილთან, როდესაც ორივე ზღვაში ცურავდა იმიტომ, რომ ორივე ლინგვისტია, ორივე მეცნიერია და აქ ყველაფერი გაშლილია და ყველაფერი კარგად არის, მაგრამ სანამ ის ინტერვიუსთვის მივიდოდა, მახსოვს, რამდენს მუშაობდა. შურნალისტი, მასშტაბურობის გარეშე, თამაშია და ჭორიკობა. ამიტომ არის დღეს, რომ ხშირად გვიჭირს შურნალისტიკაში. რა თქმა უნდა, ამას ყველაფერს სჭირდება ძალიან სერიოზული კომუნიკაბელურობა. აბა, დაუჯექი რამაზ პაჭარიძეს, ცხონებული. სხვათა შორის, როგორც მახსოვს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ჩანერა ეს ინტერ-

თი. ადვილია, მასთან დაჯდეს და ჩანერო თითქმის ორმოცგვერდინი ინტერვიუ?! მე ვფიქრობ, ეს კომუნიკაბელურობის, ადამიანის ცნობისა და თავისი პროდუქციისადმი პატივისცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა.

– ისიც მნიშვნელოვანია და, ვფიქრობ, ძალიან ბევრზე მეტყველებს, თუ ვის ირჩევს რესპონდენტად ქალბატონი მაკა. ყველა მათგანი, ვინც გაიხსენეთ და სხვანიც, ვინც წარმოაჩინა ინტერვიუს მეშვეობით, საქვენოდ ცნობილი ადამიანები არიან.

– ორზე იმიტომ, რომ იმედი გაქვს საკუთარი თავის. თორემ გაიჭედები თუ არა, ისინი არ გაპატივებენ, ისეთი ხალხია. ამ კუთხით, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი რექტორი არის თანამედროვე განათლების, თანამედროვე უნივერსიტეტის შემქმნელი ჩვენთან. ქმნის თანამედროვე უნივერსიტეტს. ეს ბევრს არ შეუძლია.

– რა არის თანამედროვე უნივერსიტეტისთვის ყველაზე მეტად ნიშნდობლივი, ბატონო მერაბ?

– ის, რომ უნივერსიტეტმა იცის თავისი ადგილი, რომ უნივერსიტეტს აქვს თავისი ნიშა. ამის ტრადიციები ჩვენს უნივერსიტეტს, გარკვეულწილად, განა არ ჰქონდა?! ჰქონდა, მაგრამ წელს რომ ზუგდიდიდან ახალციხეში გადმოდის ბავშვი ვეტერინარიაზე, ეს სხვა ფაქტია უკვე. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი, ძიების პერიოდშიც, უკვე სწორ გზას ადგას, რომ ვეტერინარული მედიცინის სპეციალობა ჩვენთან აუცილებლად უნდა ყოფილიყო, ქალბატონმა მაკამ პრინციპის დრენდენე აიყვანა. მე მომსწრე ვარ, რა ბრძოლები



თუნისეფის წარმომადგენელთან – ლასან ხალილთან



აქვს გადატანილი ამასთან დაკავშირებით. ბევრი ჩაიქნევა ხელს იმიტომ, რომ ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, არადა, სახელმწიფოს პრიორიტეტი დღეს. სადღა ვეტერინარები? აღარ არიან. ეს მაშინ, როცა ყველა სოფელს თითო-ორიოლა უნდა ჰყავდეს. ისე კი არა, ნემსის გაკეთება რომ იციან მარტო. ასე არ არის... და შექმნა მან ვეტერინარიის კადრი. შემოხვევითი არ იყო, რომ თურქეთის ყარსის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტთან ერთად, სულ ახლახან, ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელზეც წარმოდგენილი მოხსენებები ნიგნად გამოვეცით უკვე. ნახეთ, რამდენი პროფესორი მონაწილეობს იქიდან და აქედან. ზოგიერთს ეგონა, რომ დასრულდა ვეტერინარიის დრო საქართველოში, რომ ამას აღარაფერი ეშველება. რომ გავაგზავნოთ სადღაც ვეტერინარიის სასწავლებლებად, აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებიც და, გარკვეულწილად, საშუალო ასაკის შესანიშნავი პროფესიონალები გვეყვანან დღეს საქართველოში, მაგრამ გაგრძელება სჭირდება ამას.

არც ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოში აღარ ჰქონდა ვეტერინარიის პროგრამა და შეიქმნა ჩვენთან. ეს არ იყო ადვილი. რა გამოდის აქედან? რომ ერთ-ერთი აუცილებელი მიმართულება ჩვენი უნივერსიტეტის უნდა იყოს სოფლის მეურნეობა. განა მანამდე ამაზე არ ყოფილა ბრძოლა და წვალეობა, განა არ ვიცოდით. როგორ არა, მაგრამ ერთი ცოდნა, მეორეა ამის პრაქტიკული განხორციელება და, რაც მთავარია, შესაბამის სიმძლვეზე აყვანა. ჩვენ გვქონდა აგრარულის სპეციალობები, მაგრამ ეს არის უკვე სულ სხვა რამ იმიტომ, რომ ეს სხვაგან აღარ არის და მის გადარჩენაზე იზრუნა ჩვენმა უნივერსიტეტმა. ეს, უპირველესად, რექტორის უდიდესი დამსახურებაა. თანაც, ის არ ამბობს – „აი, მარტო მე ვარ!“ ხომ დიდი დრო დასჭირდა პროგრამის მომზადებას, კადრების მოზიდვას და ასე შემდეგ? მე რამდენადაც ვიცი, ვინც სიხოვია შემდეგ, თავისი გამოცდილება ამ გზაზე, ყველა უნივერსიტეტს უშურველად გაუზიარა და თუ რომელიმე უნივერსიტეტი კვლავ გააკეთებს ამ საქმეს, გზა უკვე გაკვალულია.

ასევე, ჩვენს უნივერსიტეტში დიდი ხანია ასტრონომია ფუნქციონირებს; ევგენი ხარაძის ხელდებით არის ეს თავის დროზე გახსნილი, მაგრამ, იოანე საბანისძისა არ იყოს – „ირიხოდამო ღელნამი ქართავან...“ ასე იყო სულ ჩვენი ასტრონომია და დღეს უკვე აგრძელებს უნივერსიტეტი ასტრონომიის სადოქტორო პროგრამას.

არის კიდევ რამდენიმე მიმართულება, რომელსაც უკვე იზიარებენ სხვები – პროფესიული განათლება უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ. არაა მარტივი დღეს შილიონამდე ლარის გამოყოფა რეაბილიტაციისთვის. ეს თანხა იხარჯება ახალქალაქის მე-4 კორპუსის რეაბილიტაციისთვის. ცოტა კი გახანგრძლივდა რეაბილიტაციის პროცესი მკაცრი პირობების გამო, თბილისი ანარმობის სამუშაოებს და კიდევ ბევრი რამ არის ამის მიზეზი. მაგრამ ეს იქნება საქართველოში საუკეთესო პროფესიული კორპუსი. ეს სიახლეა, ეს ახალი უნივერსიტეტია უკვე, მაგრამ სიახლეა თვითონ პროფესიული განათლებისათვის. აქ ლაპარაკი არაა მხოლოდ სახელზე, ლაპარაკია განათლებაზე; განათლებას სხვა რამე სჭირდება.

პროფესიული სასწავლებლები ცოტა არ არის საქართველოში, მაგრამ სხვა არის კოლეჯი

უნივერსიტეტში, პროფესიული განათლება, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. მართალია, ჩვენს უნივერსიტეტში პროფესიულის რამდენიმე პროგრამა დღევანდლამდეც ხორციელდებოდა, მაგრამ დღეს ამას ექნება სისტემის ხასიათი, ექნება სპეციალური, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კორპუსი. აღარ ჩამოვთვლი იმ თანამედროვე უახლეს პროფესიებს, რომლის პროგრამებიც განხორციელდება ჯავახეთში.

რეგიონის პრობლემებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი აგრძელებს ამ ტრადიციებს, რომელიც არსებობდა. შეიძლება ვილატას ეთქვა – „მე მოვედი და მორჩა, ძველი აღარ მინდა...“ ეგრე არ არის. ამიტომ, ჩვენ უეჭველად იმ პირობებში ვიცხოვრებთ და იცხოვრებენ ჩვენი შთამომავლები, სადაც ახლა ვცხოვრობთ. მე ვფიქრობ, სწორედაც რომ ბილინგვური განათლების პრობლემებზე, ჯერ დისერტაციაზე მუშაობდა, მერე, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი იშრომა და ძალიან სერიოზულად ფიქრობს, მე ვიცი ამის შესახებ, რომ სომხური ენისა და ლიტერატურის პედაგოგები უნდა მოამზა-

რი მოპასუხე იყო. ჩვენ გვერდით ვუდევით მას, ყველა თავისი საქმით და თავისი სათქმელით, მაგრამ გამწევი მთავარია, მოგვხსენებათ. ბევრი რექტორი არ არის საქართველოში, რომელიც აკრედიტაციაზე ზის და ყველა პროგრამის განხილვას პასუხობს. ასეთი რამ არ ხდება. ეს სხვა რამეა. ეს არის ბრძოლა, ერთგულება საკუთარი უნივერსიტეტისა და ყველა პროგრამის განსაკუთრებული მფარველობა. განა შეიძლება, რომელიმე პროგრამა ვინმემ გამოარჩიოს დღეს უნივერსიტეტში? თითოეულს უნდა დაჰფოფინებდე ადამიანი თავს. სწორედ მისი სხვადასხვა თვისების გამო და, კიდევ ვიმეორებ, საქმის არსში ღრმად წვდომის გამო, მას ეს შეუძლია.

მნიშვნელოვანია და საინტერესო ისიც, რომ მას არ გააჩნია კუთხურობისა და კლანურობის განცდა და არც სურვილი აქვს ამისი. არ შეიძლება, დასწამო, რომ „ამ კუთხის... იმ კუთხის... ამის ბიძაშვილი... იმის ბიძაშვილი...“ პროფესიონალია? ყველა მისი ბიძაშვილია, ყველა მისი კუთხისაა, ყველა მისაღებია. არაა პროფესიონალი? საკუთარიც რომ იყოს, არ უნდა იყოს იქ,

სასწავლო პროცესზე. უჩვეულო ახალი ფორმებისა და მეთოდების შემოღება გახდა საჭირო, სწავლის პროცესის გასაგრძელებლად. როგორ აფასებთ რექტორის როლს ამ ურთულესი გამოწვევისას?

– პანდემიამ ბევრი რამ გამოამუშავა. განსაკუთრებული დარტყმა მიიღო განათლებამ, მაგრამ ზოგი რამ ისეთიც გამოაჩინა, რომელიც შეიძლება ძალიან გვიან გამოიყვანებოდა. საუბარი მაქვს დისტანციურ სწავლებაზე. დისტანციური სწავლების ავ-კარგი ცნობილი ფაქტია, მაგრამ მთავარი ტექნიკური შესაძლებლობებია. დღევანდელი გაჭირვება ყველას არ აძლევს საშუალებას, ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნიკასთან, ყველას არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა და ასე შემდეგ. პანდემიის პირველ წელს არავის ეგონა თუ ამდენ ხანს გაგრძელდებოდა კორონა, ამიტომ ბევრად მოუშზადებელი იყო საზოგადოება. რექტორის ინიციატივით, რამდენიმე კომპიუტერი მისცეს სტუდენტებს, ვისაც არ ჰქონდა, ბევრს ინტერნეტაკეტი შეუძინა. მუდამ სტუდენტებზე ზრუნავს ქალბატონი მაკა, ედი-

ამ ულამაზესი სკულპტურისკენ, მაგრამ, ჩემი დიდი ინტერესის მიუხედავად, ვერც ვკითხე და ვერც ამოვიცანი მისი მნიშვნელობა. თქვენ თუ შეგიძინებიათ?

– კი, როგორ არა, დიდი ხანია მის მაგიდაზე დგას ცხენი „ოქროს“ უნაგირით. ერთხელ ვკითხე: რატომ, ცხენი? სიმართლე მიყვარს, მითხრა რექტორმა, ვისაც სიმართლე უყვარს, ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო – უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და მეც, ნახეთ, რა ლამაზი უნაგირიანი ცხენი „მყავს“.

ხუმრობა გასაგები იყო ჩემთვის. მე სპილო მიყვარს, მაგრამ მაგიდაზე არ „მყოლია“. სიმბოლოები მნიშვნელოვანია ცხოვრებაში. მე კი სიმართლის შესახებ გავამახვილებ ყურადღებას. ყოველ თვეში ატარებს ქალბატონი მაკა „რექტორის საათს“. ვიდრე პანდემია გვეყვოდა, აუდიტორიაში, ზოგჯერ ეზოშიც კი შეხვედრია სტუდენტებს. არასოდეს წინასწარ არ გამოცხადებულა თემა. შეხვედრას იგი შეკითხვებზე აგებს. თუ პატიოსანი და სამართლიანი არა ხარ სტუდენტებთან დამოკიდებულებაში, ამ რისკზე ვერ წახვალ. არავინ არც შეცდომას გაპატიებს და



დოს ჩვენმა უნივერსიტეტმა.

– ძალიან საინტერესო და აუცილებელი, ძალიან საჭირო სიახლე იქნება ჩვენი უნივერსიტეტისათვის, ჩვენი რეგიონისთვის... ვფიქრობ, ეს ინფორმაცია ყველას გაახარებს.

– რა თქმა უნდა. განა შეიძლება სომხურის გარეშე სამხრეთ საქართველო წარმოვიდგინოთ? არ შეიძლება! შესანიშნავი სომეხი ბავშვები მოდიან ჩვენთან და ისინი იზრდებიან, როგორც საქართველოს მოქალაქეები. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სიმშვიდისათვის, ტრადიციებისთვის და ასე შემდეგ, რომ არ მოვიდეს წინააღმდეგობაში რეალური ყოფა, რაღაც-რაღაცები, რომელიც ჭარბად აქვთ გარშემო ყველას. ამიტომ ვფიქრობ, ეს სწორედ ის სიახლეებია, რომელიც საფუძველში ჰქონდა და აქვს უნივერსიტეტს. ეს არის ჰუმანიტარული მიმართულება, ეკონომიკის კუთხით განათლება, კომპიუტერული ტექნოლოგიები და ასე შემდეგ. ესე იგი, რაც იყო, ის გრძელდება, რა თქმა უნდა, მაგრამ არის სიახლეები, რომელიც უკვე ქმნის ახალ უნივერსიტეტს ძველთან ერთად. ეს ყველაფერი ორგანიზურად უნდა შეერწყას ერთმანეთს. როგორც კი ბუნებრივი არ იქნება, იქ გამარჯვება გამოიჩნება. ბუნებრივი შერწყმა ხდება ახლა. ჩვენს რექტორს ეს შეუძლია, რადგან პრობლემებში ბოლომდე გარკვეულია.

მე ვესწრებოდი ყოველთვის პროცესებს, როგორ გავიარეთ აკრედიტაცია და ავტორიზაცია. მთელი უნივერსიტეტი მომსწრეა ამ ყველაფრის. ნებისმიერ პროფესიაზე, ნებისმიერ პროგრამაზე წინა ხაზზე იდგა ჩვენი რექტორი. მთავარ დარტყმებს ლეზულობდა ყოველთვის და მთავა-

დაც არის. მას არც ერთი ადამიანი არ გაუშვია უნივერსიტეტიდან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მუშაობს იმაზე, რომ გარდაქმნას, აამუშაოს. განა, ამ ცხოვრებაში რა ხელფასი ჩვენ გვაქვს, რომ ესეც დაკარგო?! აი, ამ კუთხით უდგება ადამიანებს, მე როგორც ვიცი. გააკეთე! – ეხვეწება ყველას. სხვა სხვაგვარ მიდგომას გამოიჩენდა ამ შემთხვევაში. ის სხვაგვარად ხედავს და მე ვფიქრობ, სწორედ რომ მას კლანურობის, კუთხურობის, ფავორიტობის თვისებები არა აქვს. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, შეკრულია უნივერსიტეტი. დღეს ვერ იქნები ადამიანი ისე, რომ ყველა კმაყოფილი იყოს, მაგრამ რასაც ვამბობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– თუ ჩემი საკუთარი განწყობითა ვიმსჯელებ, ბატონო მერაბ, მას საოცარი უნარი აქვს, აგანთოს იდეებით, სხვაგვარად შეგახედოს და ჩაგახედოს შენს საქმეში, რჩევასთან ერთად, თხოვნაზე იგონებოდა – პროფესიული დონეზე გააკეთო და წარმოაჩინო შენი საქმე. და ეს ყველაფერი ხდება ისეთი გულწრფელობით და ტაქტიკით, რომ შეუძლებელია, სათანადოდ არ უპასუხო მას...

– ნამდვილად. თუ იცნობ, ეგრე და თუ არ იცნობ, სხვა რამეა მერე. ის არასოდეს გეტყვის, ჩემ დეკორაჟზე იარეო. არ არსებობს! საქმეა ერთად გასაკეთებელი – ერთად გააკეთოთ. გაგიძღვება წინ ამა თუ იმ საქმეში, იმუშავებს შენთან ერთად, მაგრამ რაღაც მომენტში ხომ უნდა იგაჟუკაცო, ხომ უნდა გასწიო და გააკეთო რაღაც...

– უმძიმესი ხანა გვიდგას პანდემიის გამო, ბატონო მერაბ. ყველა გავრობი და, მათ შორის, განათლების სფეროშიც განსაკუთრებით აისახა მისი გავლენა

ეს და ისეთ პროექტებში მონაწილეობს, რომელიც სტუდენტებისთვის სტიპენდიაზეა გათვლილი. ზოგიერთი ჩვენი წარჩინებული სტუდენტი, უნივერსიტეტის ან სახელმწიფო სტიპენდიასთან ერთად, სხვადასხვა პროექტებიდან ლეზულობს დამატებით შემოსავალს.

– უცხო სტუმრებთან შეხვედრებისას ხშირად შემიძინავს, როგორც სიამაყით საუბრობს ის, ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილი რომაა; განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ამ ფაქტს...

– მართალი ბრძანდებით. დღეს რექტორის თანამდებობაზე შეიძლება მოვიდეს არა მარტო საქართველოს სხვა კუთხიდან ადამიანი, არამედ საზღვარგარეთიდანაც. მე ვფიქრობ, რომ სხვა მნიშვნელობა აქვს ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში აღზრდას. ბევრჯერ შემიმჩნევია ჩვენი რექტორისათვის მაღლიერების განსაკუთრებული განცდა. ის მაღლიერია უნივერსიტეტის, რომელიც დაამთავრა და სადაც ნლების განმავლობაში მუშაობდა. მაღლიერია აღმზრდელის, იმ პროფესორების, ვინც ასწავლიდნენ მას. ქალბატონი მაკა ხომ უნივერსიტეტის ისტორიას მოჰყვება თავისი განათლებით, აღზრდით, კონტაქტებით. ამიტომ, როდესაც საუბრობენ რექტორზე, როგორც მენჯერზე, ვფიქრობ, არ არის სწორი. რექტორობა სხვა რამეა. ის არის იმ ჯაჭვის რგოლი, რომელიც საქვეყნო, სამშობლოს საქმეს ემსახურება პირველ რიგში.

– ბევრ ადამიანს ვიცნობ და მსმენია ბევრის შესახებაც, რომ სიმბოლოებს გარკვეულ დატვირთვას ანიჭებენ. ჩვენს რექტორს სამუშაო მაგიდაზე ცხენის ფიგურა უდგას. მასთან შეხვედრისას გამეცქევა ხოლმე მზერა

არც რაიმე არაეთიკურს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში, როდესაც ვირტუალური აუდიტორია გამოირჩევა თავისი პირდაპირობით. ეს ფაქტი ჩვენი რექტორის კიდევ ერთ თვისებაზე – გაბედულებაზე მეტყველებს და დამიჯერეთ, ვერც ერთი რექტორი ვერ შეძლებს, ოთხი წლის განმავლობაში ყოველ თვე შეხვედეს ასეთ აუდიტორიას.

– კიდევ ხომ არ ისურვებთ გეითხრათ რამე, რაც არ გკითხეთ?

– უბრალოდ, მე აღარ ვთქვი მის პირად, ოჯახურ ამბებზე. საოცარი რაღაც შეუძლია მას გააკეთოს. თუ უნივერსიტეტში საქმის ერთგული ხარ, ოჯახშიც საქმის ერთგული ხარ, ადამიანობის, ურთიერთობის ერთგული ხარ, მოყვარული ხარ და ასე შემდეგ. მას შესანიშნავი ოჯახი აქვს. მე ულლე, სწავლაში წარჩინებული შეილები, მათთან ურთიერთობა... მთელი დღე გამოსული ხარ, მუშაობ და შესანიშნავად სწავლობს ბავშვი. სწორედ იმ ხასიათის და ურთიერთობების შედეგია ეს, რომელზეც ვისაუბრეთ. ასე ხვდავ ვე ამას.

– საინტერესო პორტრეტი დაგვიხატეთ ჩვენი რექტორის, ბატონო მერაბ. წარმატებები მინდა ვუსურვო ქალბატონ მაკას და წარმატება გისურვოთ თქვენ უნივერსიტეტის სასიკეთოდ.

– მეუბნება ახლა – სანამ ხეზე ასვლას არ მასწავლით, მანადე არ გაგიშვებთო აქედან.

– მეც ვიხუმრებ, ბატონო მერაბ: დიდხანს არ ასწავლით. ხომ მიმიხვდით, რატომ?! რომ არ გაგიშვან უნივერსიტეტიდან. გამადლობთ ინტერვიუსთვის.

ინტერვიუერი
მარინა ჯაბელაშვილი



სეპში სადაც ჩვენი სტუდენტები გადავიდნენ.

ავისტოს თვე იყო, პარასკევი დღე. დამირეკა ბატონმა ალექსანდრე დიდებულმა, თბილისში ჩამოდი და ჩამოიტანე საბუთები. წავილე ყველა საბუთი, თსუ-ს დაარსებიდან დაწყებული, თუ რის საფუძველზე იყო ფილიალი გახსნილი. როდესაც მივედი მასთან, მკითხა, ხომ ხართ მეცნიერებათა კანდიდატი? კი-მეთქი. გადაწყვეტილება არის მიღებული – თქვენი ორი სასწავლებელი ჯავახეთის ფილიალი და ახალქალაქის მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლებელი გაერთიანდება, დაერქმევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – კოლეჯი, საბაკალავრო და პროფესიული პროგრამებით და მისი რექტორი იქნებით თქვენო. შევთანხმდით, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელად მერუჟან აბრამიანი დაინიშნებოდა.

ფაქტობრივად, პროფესიული სასწავლებელი უქმდებოდა და ეს არ იქნებოდა კარგი მოსამსენი ახალქალაქში იმიტომ, რომ პროფესიული სასწავლებელი სომხურენოვანი იყო. მე ვთხოვე სამინისტროს, გაეფრთხილებინა მერუჟანი ამის შესახებ; მითხრეს – შენ დაურეკეო. დაურეკე და ვუთხარი, მერუჟან, ორი აბზაკი უნდა ვითხრა-მეთქი, ერთი კარგი, ერთი ცუდი. მოდი, დაიწყე კარგიო. ვუთხარი – დაურეკეო. უმაღლესი სასწავლებლად-მეთქი. ცუდი რა არისო, მკითხა. შენი პროფესიული სასწავლებელი გააუქმეს, ჩვენ შევერთოდით, პროფესიული პროგრამები იქნება, დირექტორი აღარ იქნება, მაგრამ იქნები ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-მეთქი. ვუთხარი, რომ ეს კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან სულ მთლად არ გააუქმეს უმაღლესი სასწავლებელი ახალქალაქში-მეთქი.


ჩამოვედი მერუჟანთან. რაიონის ადგილობრივ ხელმძღვანელებსთან კონსულტაციები უნდა გავკველო. მე და მერუჟანი შევევდით საკრებულოს თავმჯდომარეს. ჩვენ კიდევ ერთხელ ავუხსენით, რომ იქ აუცილებლად უნდა ყოფილიყო უმაღლესი სასწავლებელი და ადგი-

ლობრივებს უნდა ესწავლათ სახელმწიფო ენაზე. ყველაზე მთავარი იყო ის, რომ მოგვეხდინა პროფესიული სასწავლებლისა და ინვესტირების უმაღლესი სასწავლებლის კოლეჯის ბალანსზე გადატანა. ამ საქმეს, რა თქმა უნდა, თავისი ხელისშემშლელიც ჰყავდა. ამიტომ, მთავარი იყო, რა პოზიციის დაიკავებოდა მერუჟანი და როგორ მოვახერხებდით, ჩვენ ერთად, ადგილობრივი ხელმძღვანელების დარწმუნებას, რომ ეს იყო რაიონისთვის საჭირო. მაშინ მერუჟანს ვუთხარი, თუ ჩვენ ერთად არ ვიქნებით, თუ ვერ იმუშავებს ეს სასწავლებელი, თუ ეს გადაწყვეტილება მცირე წინააღმდეგობასაც კი ნახავს, სამინისტრო თავის გადაწყვეტილებას უკან ნაიღებს-მეთქი. არა, ეს უნდა გავაკეთოთო, მითხრა. მერუჟანის შეილება დაამთავრა ჩვენი სასწავლებელი და თავდაცვლა ნახა, რომ ჩვენ ვიცავით იქ მართლა იმისთვის, რომ ადგილობრივებს უმაღლესი განათლების მიღებაში დაეხმარებოდით. მერუჟანმა გააგზავნა წერილი ქონების მართვის სამინისტროში. ამას სათანადო პროცედურა მოჰყვა და ეს მთლიანი კომპლექსი ჩვენს ბალანსზე გადმოვიდა. ჩვენ ახალი აკრედიტაცია უნდა გავკველო უკვე.

რეაბილიტაციისათვის მხარი დაგვიჭირა განათლების სამინისტრომ და თანხა გამოყო პროფესიული მიმართულებების ფონდიდან. 2008 წლიდან დაიწყო რეაბილიტაცია. ყველაფერს სამინისტრო აკეთებდა, ტენდერიც მან გამოაცხადა. დაიწყეთ უკანა კორპუსის რეაბილიტაცია. მანამდე, ეუთოს დახმარებით, იმ კორპუსში ჩვენ ვაკეთებულ გვექონდა ოთხი ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია და ქართული ენის კაბინეტი, ეუთოსა და ინგლისის საელჩოს დახმარებით.

მთავარი იყო მთელი კორპუსის რეაბილიტაცია. ჯერ კიდევ ფილიალის დროს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კახა შენგელიამ ექვსი სტუდენტი მოიყვანა სამტრედიიდან, რომლებმაც ფასიანზე ისწავლეს ჩვენთან და თანხას კახა ურიცხავდა. ეს იყო კარგი დახმარება. ის მაშინ, ასევე, შენობის სახურავის გაკეთებაში დაგვეხმარა.

ერთ სასწავლო კორპუსს მთლიანი რეაბილიტაცია გაუკეთდა. შემდეგ გაკეთდა ცენტრალური გათბობის სისტემა. გამოყვანილ იქნა ელექტროენერჯის ხაზი ჩვენს სასწავლებელში. ინტერნეტისთვის მემართეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. 14 ათასი ლარი ჯდებოდა იმ დროს ინტერნეტი, სამინისტროც შევანუხეთ, მაგრამ სამსახურად ვერ გაკეთდა. ჯერ კიდევ ფილიალის დროს ეუთომ ავსტრიიდან ჩამოიტანა „პენტიუმ-1“ ტიპის კომპიუტერები; გვარჩუნეს ცხრა კომპიუტერი. შემდეგ სამინისტრომ, რეაბილიტაციის პერიოდში, გადმოგვცა 15 კომპიუტერი. ჩვენ, პროფესიული მიმართულებით, თანამშრომლობა გვექონდა სტუ-ს პროფესიულ ცენტრთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა შესანიშნავი ქალბატონი ლალი ლოლელიანი (პროფესიული უმაღლესი პროგრამებიც მათთან ერთად დავაშუქვეთ, წიგნებიც გამოვეცით ორი მიმართულებით). როდესაც გავიარეთ აკრედიტაცია, ჯერ 425 კაცი დაგვიმტკიცეს, შემ-



პირველი მისაღები გამოცდები ახალქალაქში

დეგ 500 კაცამდეც ავედით იმიტომ, რომ კომპიუტერების რაოდენობა გავზარდეთ. ეს შენობა მზად იყო სტუდენტების მისაღებად. 2009 წელს უკვე პირველი ნაკადი მივიღეთ. 110 სტუდენტი ჩაირიცხა მაშინ ეროვნული გამოცდებით. ჩვენ 2009 წლიდან ხელახლა განვაახლეთ მიღება. სტუდენტთა რაოდენობა 130-ზე აღიოდა, მაგრამ მე-

მოგონებები უნივერსიტეტი

რე იწყო კლება. საქართველოში ძალიან ბევრი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა პროგრამა 1+4, მოსამზადებელი სომხურენოვანთა და აზერბაიჯანულენოვანთათვის. ამ პროგრამის განხორციელება შემდეგ მოხდა. სტუდენტების რაოდენობა მცირე იყო.

უნდა აღვნიშნო, გამართულად მუშაობდა ჩვენი უმაღლესი კოლეჯი იმიტომ, რომ ჯავახეთის ფილიალის განყოფილებებში ნამუშევარმა ჩვენმა ადგილობრივმა კადრებმა კარგად იმართეს თავიანთი საქმე. მხოლოდ ინტერნეტი გვაკლდა, ამასაც მოდემის საშუალებით ვახერხებდით, თავის დროზე იგზავნებოდა სამინისტროში ყველა დოკუმენტი უმაღლესი პროგრამებიც მათთან ერთად დავაშუქვეთ, წიგნებიც გამოვეცით ორი მიმართულებით). როდესაც გავიარეთ აკრედიტაცია, ჯერ 425 კაცი დაგვიმტკიცეს, შემ-

ქალბატონი ლალი ებანიძე, რადგან ეს პროფესიული მიმართულება იყო. საბაკალავრო პროგრამებზე შემცირდა კონტინგენტი, თუმცა, ჩვენ გამართული, დახვეწილი საბაკალავრო პროგრამები გვექონდა...

ახალციხის უნივერსიტეტს ახალქალაქის სასწავლებლისთვის დედა უნივერსიტეტის ფუნქცია ჰქონდა. ძალიან ბევრი კონსულტაცია გვექონდა. გვეხმარებოდა ნიკოლოზ ახალციხე, ხარისხის მიმართულებით – ქეთევან გრძელმოვლი. ამ მიმართულებებს ჩვენთანაც თავიანთი ხელმძღვანელები ჰყავდათ, მაგრამ ახალციხიდან კონსულტაციები გვეჭრებოდა იმიტომ, რომ ახალციხის ინტერნეტის წყალობით, პირდაპირი კავშირი ჰქონდა სიახლეებთან. თბილისის უნივერსიტეტისთვისაც იგივე მოთხოვნა იყო ნაყენებულის, როცა ჩვენი პატარა კოლეჯისთვის. ბოლოს, როგორც მასხოვს, 100 ათასი ლარით გვაფინანსებდა სამინისტრო და 40 ათასი იყო ჩვენი შემოსავალი, რომელიც ნახშირზე, დენზე ძლიერს გვეყოფნოდა, ხელფასებიც ძალიან მიზერული იყო.

ბოლო დროს სამინისტროს ხელმძღვანელობა ძალიან ხშირად იცვლებოდა, სხვადასხვა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ, ზოგადად, სასწავლებლისადმი. ზოგი თვლიდა, რომ უნდა ყოფილიყო, ზოგი თვლიდა, რომ ერთი უმაღლესი უნდა ყოფილიყო ახალციხეში, ზოგიც – პროფესიულის არსებობას ანიჭებდა უპირატესობას. ათასწლირი ვერსია იყო, მაგრამ 2012 წლის 3 ოქტომბერს, სამთავრობო გადაწყვეტილებით, ახალქალაქში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯი და ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი გაერთიანდა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტად.

გვიქრობ, 1990 წლიდან ახალციხეში დაწყებული საქმე, ახალქალაქში გავრძელებული, დღეს უკვე ორივეგან ერთად შეკრული, ითვლება მთლიანობაში გამარჯვებულად, გამართლებულად და დაგვირგვინებულად. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

● 27-28 სექტემბერი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, როგორც ევროკავშირის ERASMUS+-ის ინსტიტუტური განვითარების პროექტის – „**უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში**“ (THE ROLE OF UNIVERSITIES IN THE REGIONAL DEVELOPMENT - RURD) – მონაწილემ, პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრები.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, მოისმინეს ინფორმაცია პროექტის შესახებ, შესაბამისად, რა როლი აქვს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტრატეგიაში რეგიონის სპეციფიკას. ასევე, მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა როლი აქვს უნივერსიტეტს რეგიონში, რა ძირითადი მახასიათებლები გააჩნია რეგიონს, როგორია რეგიონული კონკურენტუნარიანობის პირამიდული მოდელი, წარმატებული თანამშრომლობის განმსაზღვრელი ღირებულებები და სხვა საკითხი.

პროექტის მიზანია, ევროკავშირის პარტნიორობით თანამშრომლობით, საქართველოს რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაზრდა

რეგიონების განვითარებაში, მათი მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდერნიზება, ასევე, უნივერსიტეტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროექტში ჩართულნი არიან საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტები და 4 ევროპული პარტნიორი ორგანიზაცია, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან და ლიეტუვადან. პროექტში, ასევე, ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

● 29 სექტემბერი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

აღსანიშნავია, რომ ხელი მოეწერა Erasmus+ -ის ინსტიტუტური განვითარების პროექტის – „**რეგიონული უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში**“ – ფარგლებში. პროექტი რეგიონის განვითარების ხელშეწყობასა და საგანმანათლებლო საკითხებში თანამშრომლობას ისახავს მიზნად.

ინფორმაცია

● 30 სექტემბერი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა უფლებების ცენტრში იუნი-სეფის ეგიდით საინტერესო და დატვირთული შეხვედრა გაიმართა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს



იუნი-სეფის წარმომადგენელმა საქართველოში დასან ხალომმა, იუნი-სეფის წარმომადგენლებმა ნათია ჯოსაძემ, უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ, განათლების მიმართულების ხელმძღვანელმა ირმა ქურდაძემ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების – ახალქალაქისა და ახალციხის მაღალი კლასის წარმატებულმა მოსწავლეებმა. საუბარი შეეხო, ბავშვთა უფლებების გაძლიერების მიზნით, სჯსუს ბავშვთა უფლებების ცენტრში სამომავლო აქტივობებს, როგორც ახალციხეში, ასევე, ახალქალაქში. ეს ღონისძიება გაგრძელდება იუნი-სეფის მხრიდან სჯსუს მხარდაჭერის სერიიდან.

● 1 ოქტომბერი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, ხელი მოეწერა მესამე წლის საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროგრამის სხვა 7 პარ-

ტნიორ უნივერსიტეტთან ერთად, გააგრძელებს საქართველოს საჯარო სკოლებში მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.

USAID საბაზისო განათლების პროგრამა ახორციელებს თანამედროვე სასწავლო მეთოდების შემოღე-

ბავშვთა უფლებების ცენტრში იუნი-სეფის ეგიდით საინტერესო და დატვირთული შეხვედრა გაიმართა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს

● 18 ოქტომბერი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი **როინ თათუმელი** ფაკულტეტის დეკანმა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტებს შეხვდა. შეხვედრა ონლაინ ფორმატში პლატფორმა moodle-ს საშუალებით წარიმართა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა 2021 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ისაუბრა.

● 21 ოქტომბერი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალანთის საჯარო სკოლის უფროსკლასელ-თათვის ონლაინ ლექცია გაიმართა თემაზე „კიბერპიიკინა“.

შეხვედრას სჯსუს მოწვეული პედაგოგი **ჯულიეტა ტაბუაძე** უძღვებოდა.

ონლაინ ლექციის შედეგად მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ვირტუალურ სივრცეში არსებული შესაძლო საფრთხეების არსებობა და მათი თავიდან აცილების გზები, მომხმარებლის პირადი მონაცემების დაცვა, ეგრეთ წოდებული ფიშინგი და მავნე პროგრამები, უსაფრთხო პაროლები მომხმარებლებისთვის და სხვა აქტუალური საკითხები, რაც ყოველდღიურ საქმიანობაში ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებას გულისხმობს.

უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერასმუს+ -ის ინსტიტუციური განვითარების რამდენიმე მიმდინარე პროექტი ფუნქციონირებს, მათ შორის არის **E-PSY** „ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების განსაზღვრებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“.

უნივერსიტეტისთვის პროექტით გამოყოფილია 42 769 ევრო, რომელიც დაიხარჯება როგორც ადამიანური რესურსების გადამზადებაში, აგრეთვე, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. პროექტი სამ წელზეა გათვლილი და მისი კოორდინატორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ქართველ პარტნიორებთან ერთად, პროექტში წართულია იტალიის, პოლონეთისა და რუმინეთის უნივერსიტეტები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულია არაერთი აქტივობა, მათ შორისაა 12 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩატარებული

ახალი საერთაშორისო პროექტები

გურანდა მოღვაძე საერთაშორისო ურთიერთობის დირექტორის უფროსი საქართველოს

ბული საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც ეძღვნებოდა „ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს“. შეხვედრა მიმდინარეობდა ვიდეორეჟიმით და მისი კოორდინატორი იყო რამდენიმე სტუდენტი, დანარჩენი სტუდენტები მონაწილეობდნენ Zoom პლატფორმის გამოყენებით.

ლონისძიებზე განხილული იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამაფრთხილებელი ნიშნები და რეკომენდაციები ჯანსაღი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად. სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს WSG სა-

ინფორმაციო შეხვედრაში, რომელიც იმართება საგანმანათლებლო მიზნებისთვის პარტნიორთათვის Erasmus+ (CBHE) ინსტიტუციური განვითარების პროექტის E-PSY „ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების განსაზღვრებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ფარგლებში. ასეთი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა 26-28 ოქტომბერს. შეხვედრაზე უნივერსიტეტს წარმოადგენენ: პროექტის მენეჯერი და საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების უფროსი სპეციალისტი **გურანდა მოღვაძე**, მკვლევარი – **ქეთევან წარმანიშვილი** და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი – **თეა თათუნაშვილი**.

შეხვედრა გახსნა კონსოლციუმის კოორდინატორმა – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ინდირა ძაგანიამ**, მონაწილეებს მიესალმა ეკონომიკის უნივერსიტეტი ბიდგომში პროექტის კოორდინატორი **ირინა კუდლინსკა**, კანცლერი ფილიპ სიკორა, ხოლო პრეზენტაციას უძღვებოდნენ **მაგდალენა ბეიგამანი** და **ევა კანიევსკა**.

პირველი დღე დაეთმო შემდეგ საკითხებს: გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება ბიდგომში უნივერსიტეტში არსებული ფსიქოლოგიური და პედაგოგიური კონსულტაციების სერვისების შესახებ; ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ფორმები; ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკისა და კონსულტაციის სხვადასხვა მექანიზმები და პროცედურები, რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და სხვა ბენეფიციარებისთვის.

27 ოქტომბერს, საინფორმაციო შეხვედრის მეორე დღეს, მსმენელებს პრეზენტაცია წარუდგინა **რობერტ ლაუკსმა**. პრეზენტაციისას მან მოაწყო ვირტუალური ტური უნივერსიტეტის კამპუსში, ვიდეო და ფოტო მასალით გაუზიარა პარტნიორებს მათ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების, ფსიქოლოგიისა და კოგნიტიური მეცნიერების ლაბორატორიის შესახებ. მესამე პრეზენტაცია – ბენეფიციარების მოძიებისა და მოზიდვის საშუალებები, წარმოადგინა **იაცეკ რუდნეცკიმ**.

28 ოქტომბერი, საინფორმაციო შეხვედრის მესამე დღე, წარმოადგინა ერთგვარ შეჯამებას. მომხსენებელმა **რობერტ ლაუკსმა** წარმოადგინა პრეზენტაცია ორგანიზაციისა და დაფინანსების ფორმების შესახებ, ასევე ისაუბრა სხვა დამხმარე სერვისებზე.

შეხვედრის ბოლოს განხილული იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებთან არსებული სერვისების საკითხი. შეხვედრები დასრულდა საინტერესოდ, კითხვა პასუხის რეჟიმში.



ლის შემდეგ. ასეთები ხომ ღვიან, მაგრამ ხშირ-ხშირად გვახსენებენ თავს. უკვე იმქვეყნიური კაცია **ვაჟა სამსონიძე**, ახალციხის დიდი კოლორიტი, შესანიშნავი მკვლევარი, რუსთაველოლოგი, პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი და ლირსული მამულიშვილი, რომლის გარდაცვალება დიდი დანაკლისია მთელი რეგიონისთვის.

ურად თანამშრომლობდა გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთთან“, რომლის ლექსები, პუბლიკაციები, ნარკვევები, რუსთაველისადმი მიძღვნილი ნერილები, საპოლემიკო მასალები, ამდიდრებდა გაზეთის თითოეულ ნომერს და მკითხველ საზოგადოებაში დიდი ინტერესს იწვევდა. ძნელია წარმოიდგინო, რომ იგი აღარაა ცოცხალთა შორის, მაგრამ მან, თავისი საქმეებით, დიდი სახელი დატოვა ამქვეყნად და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – მართლაც არ უცხოვრია მას ერთი ადამიანის სიცოცხლით, რაც რჩეულ ადამიანთა ხვედრია!

მაინც ჩვენთან იქნები

ძნელია დავიჯერო, რომ ორმოცი დღე შესრულდა, რაც ჩვენს შორის აღარ ხარ ადამიანი, რომელიც ყოველთვის მხნე, იმედიანი, შემოქმედებითი იდებით შთააგონებული, ხალისიანი, მოკეთესთან გულდია და იუმორით გაჯერებული, მოპირდაპირესთან – შეუპოვარი და სამართლიანი, ხოლო ჩვენთვის – ყოფილი რაიონული გაზეთის „ნითელი დროის“ (შემდეგ „სამცხისა“ და „განახლებული მესხეთის“) კოლექტივისა და რაიონული სტამბის მოშა-მოსამსახურეებისთვის – პრესის მუშაკი, სარედაქციო დავალებების დროულად და პირნათლად შემსრულებელი, ავ-კარგის მცოდნე, სანდო და უღალატო მეგობარი.

ასაკით ჩემზე უმცროსს და შენდამი კეთილგანწყობის ნიშნად ვაჟიკოს გეძახდი. სასიამოვნო და საინტერესო იყო შენთან პირისპირ და ტელეფონით საუბარი. ჩემთვის ახლობელი ავტორებისაგან მოძღვნილ წიგნებთან ერთად საკუთარი ხელით მორთმული შენი წიგნებიცაა, გულთბილი სამახსოვრო წარწერებით.

ვალმონდილი მკვლევარი – ვაჟა სამსონიძე

მარადიულ სასუფეველში ნებისმიერი ადამიანის გადასვლა ყოველთვის დიდ ტკივილს გვიტოვებს და მაშინდა გვახსენდება, რომ მართლაც წუთია ჩვენი წუთისოფლად არსებობა. მაგრამ განსაკუთრებით დიდი ტკივილისა და სინანულის მომგვრელია იმ ადამიანთა ამ ქვეყნიდან წასვლა, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა საქვეყნო, სამერმისო და არდავინყების მარაგანდებითაა მოსილი. მათი ნაშრომ-ნამოღვაწეობა ხომ მომავალ თაობებს სულიერად ასაზრდოებს და სიცოცხლის ელექსირს შემატებს.

ის იყო გამორჩეული ადამიანი და დიდ საშვილიშვილო საქმეებსაც ღირსეულად ეჭიდებოდა; მიუხედავად მრავალგზის დამტკიცებული და აღიარებული რუსთაველის მესხური ნარკომავლობა, მკვლევართა ერთ ნაწილს კვლავ ეჭვი ეპარება მის უტყუარობაში. მისი კვლევების გაცნობის შემდეგ კი სადაო და საჭოჭმანებელი, ალბათ, აღარაფერი უნდა იყოს! განსაკუთრებით ეამაყებოდა ვაჟა სამსონიძეს ამ კვლევებით გატაცება და არ ეპუებოდა არც იმას, რომ შეჭიდებოდა ზოგიერთ დიდ მეცნიერს და მათთან პოლემიკაც გაემართა. ამიტომაც გვჯერა, რა დროც უნდა გავიდეს, ვაჟა სამსონიძის კვლევებს („მესხური რეალობის კვლევა“, „მესხური რეალობის კვლევა“, „მესხური რეალობის კვლევა“), გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი რუსთაველოლოგი.

ვაჟა სამსონიძის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბევრ ცნობილ მწერალთან, მეცნიერთან და სიამოვნებით ივალისწინებდა მათ მეგობრულ რჩევებსაც, რაც განსაკუთრებით უადვილებდა მეცნიერული კვლევებისა და შექმნილების დადგენას.

შეიძლება დიდხანს ვისაუბრო შენი პიროვნების დამახასიათებელ ადამიანურ თვისებებზე, რითიც დაგვამახსოვრე თავი, მაგრამ გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო და ვეცდები, ძლიერ მოკლედ, მაგრამ დიდი გულისტკივილით ვავიხსენო, ჩვენი კაცური კაცი, ჭეშმარიტო მამულიშვილო, თავმდაბალი, უზრუნველყოფილი მუშაკო, სიცოცხლის ბოლომდე რომ არ გაგნელებია მეცნიერული მოღვაწეობის შინი, ჩვენი ქვეყნის და განსაკუთრებით მშობლიური მესხეთის წარსულის შესწავლის დაუოკებელი სურვილი. პატივისცემდით და ვაფასებდით შენ შრომისმოყვარეობას, ლიტერატურულ გამოკვლევებს, ჩვენს უკვდავ პოემაში – „ვეფხისტყაოსანში“ რომ ეძებდი და უტყუარ მაგალითებზე დაყრდნობით პოულობდი მესხურ ანალოგებს.

ჩვენი თანამშრომლობიდან რამდენი დაუვიწყარი ეპიზოდის გახსენება შეიძლება! იყო ეს პრესის დღეებთან დაკავშირებული თუ რაიონული (როდესაც ჩვენი გაზეთი სარაიონთაშორისო იყო) სარედაქციო ღონისძიებები, ექსკურსიები, მუშაობები, ყველგან თავს გვამახსოვრებდი საქმის სიყვარულით, მოსწრებული იუმორით, ექსპრომტად წარმოთქმული სალალო მოლექსებით.

ვაჟა სამსონიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის. იგი განსაკუთრებით დააკლდა როგორც ახალციხეს, ასევე, მთელ სამცხე-ჯავახეთს. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული მარადიულ სასუფეველში.

რედაქციას მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება არ ჰქონდა. ამ დარგების ცალკეული ობიექტების შესახებ ინფორმაციები თუ საჭიროოტო საკითხების წინ წამოწევა-განხილვა შენ გვევლებოდა, რასაც ყოველგვარი გაუგებრობის გარეშე უნარიანად ახერხებდი.

განუწყვეტელ გონებრივ საფიქრალს, შინ და გარეთ ცხოვრებისეულ საზღვრებს, საბედისწეროდ შემოპარულ სენს ვერ გაუძლო ორგანიზმმა, დიდად მცდელობამ და სათანადო მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო და შენს გავლილ, მრავალნადავ ცხოვრებას, კმაყოფილებით მოსაგონარ ღირსშესანიშნავ დღეებს, შესაშურ საზოგადოებრივ მდგომარეობას, რაც მთავარია, საყვარელ ცოლ-შვილში, შელიმწივლებთან ყოფნის სიხარულს წერტილი დაუსვა და ამ მოულოდნელი მწარე დასასრულით თავზარი დაგვცა. მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ეს მოხდა ფორმალურად, რადგან ნათქვამია – თუ ადამიანს გამხსენებელი ჰყავს, ის მეორე სიცოცხლით ცოცხლობსო. ამიტომ, ვიდრე ვიარსებებთ, ვისთანაც კი ნათესაური, საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა გქონია, არ დაგივინებთ, გვემახსოვრები, ხშირად ვაგიხსენებთ. ჩვენს მიერ დანთებული სანთლები გაგინათებენ სულთა სამყოფელს.

თინათინ გუგუშვილი
ჟურნალისტი

კარგო ხუციშვილის ხსოვნას

პატი, რომელიც დააკლდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, განსაკუთრებით კი ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

თავისი საქმის უდიდესი პროფესიონალი, ზედმინეწი ნესიერი და უანგარო ადამიანი – ბატონი კარლო 2003 წლიდან მუშაობდა ჯერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში (შემდგომში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე, მონ-

ვეულ მასწავლებლად, ამავდროულად, იყო შპს ალპენ მილკის მთავარი ბუღალტერი, ასპინძის მუნიციპალიტეტში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ასპინძის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსი, შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონ-ცენტრის მთავარი ინსპექტორი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, ადმინისტრაციის აპარატის უფროსი, საბაჟო-გამშვები პუნქტის – „ვალე“-ს ინსპექტორი.

ბატონი კარლო სწავლობდა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე, გაიარა სრული კურსი და მუშაობდა სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად სადოქტორო ნაშრომზე. მას გამოქვეყნებული აქვს უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებზე, როგორც ადგილობრივ, ასევე, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში. მისი ნაშრომები ყოველთვის იყო ძალზედ საყურადღებო.

ბატონ კარლოს მრავალი ბუღალტერიის კადრი ჰყავს გამოზრდილი და მისივე რეკომენდაციით დასაქმებული. ბატონ კარლოზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება. მისი ამქვეყნიდან წასვლა ძალზედ ნაადრევი იყო და უამრავ ადამიანს დაწყვიტა გული. სწორედ მასზე იტყვიან – კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს, ქვეყანას, მის



სამეგობროს და მის დიდებულ ოჯახს.
ნათელში იყოს მისი სული
გიორგი გუგუშვილი,
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ბარბარე გალიბინი - ხონაურის გამარჯვებული



ბარბარე გალიბინი – ეს სახელი და გვარი გაზუთ „მეხსეთის უნივერსიტეტის“ მკითხველისთვის კარგად ნაცნობია. ბარბარეს მთელი საქართველო იცნობს, როგორც გმირ დედას. ის სამშობლოს რვა შვილს უზრდის. ამასთან, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის მეოთხე კურსის წარმატებული სტუდენტია. ბარბარე უნივერსიტეტისა და გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიანტია.

ამჯერად მას წარმოგიდგინებთ, როგორც ესეების კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტს.

ბარბარე გალიბინმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო-საგანმანათლებლო პროგრამებში“ და კურიკულუმში მისი წვლილის შესახებ „ბავშვთა უფლებები ალმურდელითი მუშაობა მეთოდის კურსში – ქეისები და ცოცხალი აქტივობები“, მეორე ადგილი დაიკავა. UNICEF-ის წარმომადგენელი საქართველოში, ლასან ხალიფი, ბარბარეს სახელში თავად ესტუმრა და საჩუქარი გადასცა.

კონკურსში გამარჯვებას ბარბარე უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას და მის დიდ მონდომებას უკავშირებს. ამბობს, რომ ეს სესწერა საპასუხისმგებლო იყო, მაგრამ სწავლის დროს განვილიმა კურსმა „ალმურდელითი მუშაობის მეთოდიკა“ და საუნივერსიტეტო კურიკულუმში შეტანილი ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებმა, გაუხსნა გზა თემის სწორად გააზრებისა და დანერისას. ასევე, ბარბარე მადლობე-

ლია პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ირმა ქურდაძის, რომელმაც მიანიჭა ინფორმაცია ალმურდელითი მუშაობის შესახებ და მისცა შანსი, საკუთარი ცოდნის რეალიზაცია ამ მიმართულებით მოეხდინა.

ყველაზე დიდი გულშემატკივრები მისი პატარები იყვნენ, რომლებიც ხელს უწყობდნენ დედას კონფერენციის მომზადებაში. ბარბარე ამბობს, რომ უფლის წყალობით ყველაფერი გამოდის. წარმატების გასაღებს კი მინაგანი მოტივაციით ხსნის.

ბარბარეს, როგორც მრავალშვილიანი დედის სტატუსის მატარებელს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი – გამარჯვებულის სტატუსიც შეემატა, რაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნამდვილად ეამაყება.

ლიკა ზაზაშვილი

ახალგაზრდა, რომელიც უნდა გაგაცნოთ, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან იქცეოდა საზოგადოების ყურადღებას. ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებელს, ბევრჯერ დაუმსახურებია მქუხარე აპოლონიმენტები, ბევრჯერ დაუნთია ცეცხლი სცენაზე. შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, შემდეგ – მაგისტრანტი. უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლში გააგრძელა მეცადინეობა და, ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად, სასწავლებლის სახელი არაერთხელ ასახელა.

ეს ახალგაზრდა დავით ვედიაკოვი, ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი. მიუხედავად მისი ზემოსხენებული შესაძლებლობისა, ის ჩვენი ინტერესის სფეროში სხვა მიზნით მოხვდა. დავითი პროფესიონალურ რაგბს თამაშობს და მან რიგობით მოთამაშებიდან მწვრთნელობამდე ექვსწლიანი რთული გზა განვლო.

დავით ვედიაკოვი - მუდმივი განვითარებისა და სიხსენების კიშის პოტენციალი

რაგბი ბავშვობიდან ხიბლავდა. მძიმე ვარჯიშის ფასად, ბევრი იშრომა, მიზნისთვის რომ მიეღწია.

წლების განმავლობაში იზრდებოდა მისი შესაძლებლობები. მორალურად და ფიზიკურად ზრდიდა ის ურთიერთობები, რომელიც გუნდში მეფობდა. თვლის, რომ მოგება და წაგება ძმები არ არიან და გამარჯვებისთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯო. არც სპორტი ეშლება, არც მეგობრობა, არც გუნდთან მუშაობა, არც ზრდილობა და ამიტომ, ბევრ წარმატებას აღწევს ეს ახალგაზრდა ადამიანი. საინტერესოა, როგორია დავითის სტუდენტური თუ პროფესიული ცხოვრების გზა. ჩვენ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– დავით, წარმოგიდგინეთ თავი.

– გამარჯობა. მე ვარ დავით ვედიაკოვი, 24 წლის. ახალციხის №5 საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტზე გავაგრძელე. უნივერსიტეტში საინტერესო და სიახლეებით აღსავსე ოთხი წელი გავატარე. ამიტომ, გადაწყვიტე, მაგისტრატურაში სწავლა ამავე უნივერსიტეტში გამეგრძელებინა.

– გქონდათ აქტიური სტუდენტური ცხოვრება, იყავით უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლის წევრი. გახსენეთ ეს პერიოდი.

– ბავშობიდან ვცეკვავდი და, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, ვიყავი უნივერსიტეტის ანსამბლის წევრი. უამრავ ფესტივალში მივიღეთ მონაწილეობა, სადაც ჩვენი ანსამბლი ყოველთვის იმსახურებდა მონონებასა და გულუხვ აპლოდისმენტებს. მიხდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტის ძალიან კარგი ანსამბლი ყავს და ვურჩევ ყველას, მიუხედავად იმისა, იციან თუ არა ცეკვა, აუცილებლად სცადონ ბედი. ეს ნამდვილად იქნება მათთვის გამონევეების, ადამიანების გაცნობისა და, უბრალოდ, დროის საინტერესოდ გატარების შესაძლებლობა.

– უკვე რამდენიმე წელია, რაც სპორტის საინტერესო სახეობას – რაგბს თამაშობთ. გვესაუბრეთ.

რეიტ, პროფესიონალური რაგბის დაწყების ეტაპზე და მოთამაშებიდან მწვრთნელამდე გავლილ გზაზე.

– რაგბი ბავშვობიდანვე იყო ჩემთვის ვართობისა და მეგობრებთან ყოფნის კარგი საშუალება. რაგბის ასაკობრივი ჩემპიონატის (ბ ლიგის) თამაშის

და ბ ლიგის) მწვრთნელი და ერთი წლის მერე, მეც გადაწყვიტე ხელი მომეკიდა ამ საქმისთვის. რადგან დავითი შერკინების მოთამაშე იყო, ის შერკინებას ავარჯიშებდა, ხოლო მე უკანახაზულე. ამ პოზიციისთვის შესაბამისი სამწვრთნელო კურსების გავლა იყო საჭირო.

უკანახაზული ვარ. ვთამაშობ 11, 12, 13 და 14 ნომერს, რაც სისწრაფეს და მოედნის კარგ ხედვას მოითხოვს, ძირითადად.

– როგორია ერთი სარაგბო დღე.

– რადგან ახლა სეზონი დაწყებულია და მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი, უმეტესად შერკინებაზე ყოფნა გვინდა. დილას 9:30-ზე ვსაუზნობთ, 12-ზე უკვე ვარჯიშობ. სეზონის განმავლობაში, ძირითადად, ტექნიკური და ტაქტიკური ვარჯიშები გვაქვს. 2-2:30 სთამდე გვაქვს სადილი, რის შემდეგაც აუცილებლად ვისვენებთ. 5 საათზე ვარჯიში გვაქვს. საშუალოდ, საათნახევარს ვვარჯიშობთ და შემდეგ ინდივიდუალურად, ზოგი ფიტნესში შედის, ზოგი სტადიონზე აგრძელებს ვარჯიშს. 8-ზე გვაქვს ვახშამი, რის შემდეგაც გვაქვს წინა თამაშის განხილვა. ასევე, ვსაუზნობთ და შევქმნილ კარგად. თამაშის ანალიზი ძალიან გვეხმარება განვითარებაში. ამის შემდეგ 12 საათამდე ყველას უნდა გვეძინოს, მეორე დღეს ძაღვები რომ აღვიდგინოთ. ყველაზე საყვარელი დღე, ალბათ, თამაშის დღეა, სადაც უკვე შეგიძლია, ბოლომდე დაიხარჯო, ითამაშო და უბრალოდ მიიღო სიამოვნება, რომ სათანადო შედეგიც დღე. ნაგება და მოგება ძმები არ არიან. ძალიან უნდა ეცადო და ყველაფერი გააკეთო იმისთვის, რომ გუნდს დაეხმარო და მოიგო. შენ გვერდში კი შენი გუნდელები არიან, ვისი იმედიც ყოველთვის შეგიძლია გქონდეს.

– მადლობა დავით. ვისურვებთ წარმატებებს.

ინტერვიუერი ლიკა ზაზაშვილი



შემდეგ კი სპორტის ეს სახეობა ძალიან შემეყვარდა და ჰობად გადაიქცა, მაგრამ არასდროს მიფიქრია პროფესიონალურად თამაში იმის გამო, რომ სამცხე-ჯავახეთში იმ დროისათვის არ არსებობდა კაცთა გუნდი. საბედნიეროდ, 2016 წელს, როდესაც უნივერსიტეტში ჩავაბარე, დაარსდა სარაგბო კლუბი „ტაოს“ და მეც გავხდი „ტაოს“ წევრი. ჩემი გუნდელი დავით კაპანაძე უკვე იყო „ტაოს“ ასაკობრივის (ა

ნაზისიერი ნახატი, ფოტო, კადრი არ იქნება ეფექტური, თუ ისინი ერთიანი იქნება საღებავით იქნება შექმნილი, ჩრდილების გარეშე. თუნდაც ერთმა ტონმა შეიძლება, მათ უნიკალურობა შესძინოს. სწორედ, ერთ დეტალშია საქმე, ის „ერთი“ ხდის ნახატს, ფოტოს, კადრს წარმატებულს. ერთს ემატება ერთი, ორს – კიდევ ერთი და მრავალფეროვნება ქმნის განსაკუთრებულობას.

ასეა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი უნიკალურობა სწორედ, რომ სტუდენტთა მრავალფეროვნებაშია. მალაქურსელებს უერთდებიან პირველკურსელები და ისინი სტუდენტურ ცხოვრებას კიდევ უფრო მეტად საინტერესოს და ლამაზს ხდიან. მოდიან ახალი იდეებით, შემართებითა და სურვილით – სტუდენტობის პირველივე დღიდან ჩაერთონ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ხმა მიანდონ ისინი გულს, რომ წლების განმავლობაში დარჩეს მათი სახელი, როგორც უნიკალური ხმის მქონეებისა. აქ სიტყვას „ხმა“ პირდაპირი მნიშვნელობით ვიყენებ, რადგან გოგონა, რომელიც მინდა მოვითხოვო, სათქმელს თავისი შემოქმედებით ამბობს. მის ხმას სცნობენ ქართული ხალხური სიმღერებისა თუ საგალობლების შესრულების დროს. ეს გოგონა მღერის და ვალობს ბავშვობიდან, არა ერთ სცენაზე დამდგარა და არა ერთ კონკურსში მიუღია მონაწილეობა. ეს ახალგაზრდა ეთო ნარიმანიძეა, ჰუმ-

გოგონა ფრთაშესხმული იდეით

ნიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების პირველკურსელი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტობისთანავე, დაიწყო ოქქერი, თავისი მუსიკალური ცოდნა, სხვა სტუდენტებსაც გაუზიაროს. მისი იდეა ერთმანეთს შეხვდა. ეთოს ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი შეიქმნება. სურვილი სპორტისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს, ბატონ თეიმურაზ მადრაძეს გააჩნდო, რაზედაც თანხმობდა უნივერსიტეტის მხრიდან მხარდასა და მიიღო.

ეთო ნარიმანიძე ახალციხეში არსებული სალოტბარო სკოლის ერთ-ერთი ხოლისტია. სწორედ აქ, მასწავლებლის დახმარებით, ეუფლება ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ქართულ საგალობლებს. მღეროდა ფოლკლორულ ანსამბლში „საუნჯე“. არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ქალაქში გამართულ ღონისძიებებში. არის სოფელ ივლიტის ტაძრის მგალობელი. პანდემიამ, როგორც ყველგან, აქაც თავისი კვალი დატოვა. გარკვეული პერიოდი შეწყდა მეცადინეობები.

მისი მუსიკისადმი სიყვარული ოჯახურმა გარემომ განაპირობა. იხსენებს დედას ფანდურით ხელში და იმ ალტაცებას, რომელიც დედის ნამღერით იყო გამოწვეული. სურვილი – ფანდურზე დაკვრა დედას ეს-

წავლებინა, ვერ შეისრულა. როდესაც ეთო 11 წლის იყო, დედამ საშუალო სასწავლებელში გადაინაცვლა.

„როდესაც დედა დაიღუპა, აღარც მუსიკა მაინტერესებდა და არც სხვა რაიმე. ასე ვიყავი დიდი ხანი. თუმცა, 15 წლის ასაკში, როდესაც პაპასთან და ბაბოსთან ვიყავი სტუმრად და მათ მიერ შესრულებული ურთულესი ქართული ხალხური სიმღერა მოვისმინე, მივხვდი, რომ ეს ღვთისგან ბოძებული ნიჭი იყო და უნდა დამეფასებინა, გავყოლოდი ამ გზას“. – იხსენებს ეთო.

გადაწყვიტა ფანდურის წრეზე მუსიკიკო. მადლობელია პედაგოგის – ლელა ნაროზაულის, რომელმაც ეთოს მუსიკალური ნიჭის სწორად წარმართვასა და განვითარებაში დიდი როლი ითამაშა. სწორედ, ეს ნიშანია, დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება დაეძო საფუძვლად ეთოს იდეას.

„გადაწყვიტე, ეს 4 წელიწადი უფრო ნაყოფიერი გამეხადა და ჩემს მეგობრებთან ერთად განმეხორციელებინა ჩემი ჩანაფიქრი. მსურს ჩამოვყალიბო წრე, სადაც შევქმნე ჩემს გუნდთან ერთად დავამუშაო ქართული ხალხური და მასთან ერთად ქალაქური სიმღერები, ინსტრუმენტების თანხლებით. ვფიქრობ, ეს ჩანაფიქრი დიდ წარმატებას მოგვცის თითოეულ ჩვენგანს და განვითარებით მუსიკალურად“.



პირველი შეხვედრა უკვე შედგა. გუნდში 13 წევრია, 13 სტუდენტი, რომლებიც სხვადასხვა საკრავებთან ერთად, როგორცაა – ფანდური, გიტარა და სხვა, დაამუშავებენ სხვადასხვა სიმღერას. გუნდი ელის მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ნებისმიერ მსურველს.

ასე ერთად, შეხმატკივლებულად იმეცადინებენ, შეუწყობენ ერთმანეთს ხმებს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელს კიდევ ერთხელ ასახელებენ.

ლიკა ზაზაშვილი

ინოვაციური ერთ-ერთი იმ სტრუქტურულმა...

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში...

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთია...

ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით...

ნინოს ცხოველებისადმი სიყვარული ბავშვობიდან...

დიდ დამსახურებად თვლის. ოჯახში ყოველთვის...

ბავშვობიდან შერჩეული პტოფისის ერთგულება

ლებს დახმარებოდა, დაეპურებინა და ეზრუნა მათზე...

როგორც ყველა აბიტურიენტი, ნინოც გაცნო...

სწავლების ერთი წელი წარმატებული შედეგით...

ფასება სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით...

გამო, დისტანციურად მოგვინია სწავლა, თუმცა...

მოხარულია, რომ ამ ერთმა წელმა, საინტერესო...

პროფესიის არჩევასა, რაღა თქმა უნდა, ფიქრი...

მართული, რადგან ეს საქმე მთელი ცხოვრება უნდა...



როგორც კადრების დეფიციტით. მოთხოვნა მაღალია...

ვინაიდან, ვეტერინარის პროფესიისთვის პრაქტიკულ...

სწავლების სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება...

ბას ბევრად უფრო საინტერესოს ხდის.

„ვეტერინარიის ფაკულტეტის პროფესორა შედეგად...

ნინო სტრუქტურების სახელით მადლობას უხდის...

კონკრეტულად რომელი მართულებით გააგრძელებს...

ლიკა ზაზაშვილი

ჩაწი გააზრებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი...

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი...

მასხოვს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები...

დადგა ის სანუკვარი დღეც, როდესაც უნივერსიტეტის...

„მე თაობათა საამაყო უნივერსიტეტის ნაწილად ვიქცევი“ „თამამად ვიტყვი, რომ იღბლიანი ვარ“

ლებდა, გამალებით ეძგერა, სუნთქვა მკვეროდა...

პირველივე სიახლის აღმოჩენისას ვიგრძენი თავისუფლება...

ახლა ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოწვევაზე მინდა გი-



ამბოთ. წარმოიდგინეთ, სრულიად უცხო ადამიანები...

გაივლის. ამას დაუმატეთ ისიც, რომ არა მხოლოდ...

ბუნებრივად, პოზიტიურად მივუღებოი ონლაინ პროცესებსა...

ული შეხვედრა. ლექტორები დღითი დღე...

ყოველთვის აღვნიშნავდი, ოჯახურ გარემოს ვიყავი მიჩვეული...

უსასრულოდ შემოიღია ვისაუბრო ჩემს თავგადასავალზე...

მე ვამაყობ, რომ მქვია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის...

რიმა სუღაძე განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის I კურსი



მეხსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრში, ეროვნული დრამატურგიის ფესტივალის 10-25 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ფესტივალს ორგანიზება თავად მესხეთის თეატრმა გაუწია და სცენა დაუთმო 14 თეატრალურ კოლექტივს.

ქალაქ ახალციხისათვის ეს უკვე რიგით მეექვსე ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი იყო, რომელიც 10 ოქტომბერს თბილისის თავისუფალმა თეატრმა გახსნა სპექტაკლით „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“.

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი – ლია სულუაშვილი ამბობს, რომ ეს, ერთგვარად, დამკვიდრებული ტრადიციაა და საქართველოში არსებულმა თეატრებმა უკვე იციან, რომ ორ წელიწადში ერთხელ მსგავსი ფესტივალი მესხეთში იმართება: **ზოგადად, ფესტივალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი კიდევ უფრო საინტერესო და საჭიროა, განსაკუთრებით, ჩვენს მხარეში, რადგანაც, ეს არის სტიმული იმისა, რომ ქართული დრამატურგია განვითარდეს ყველა თეატრში. საქართველოს ყველა თეატრი ემზადება საამისოდ, მაგრამ მაინც ვთვლით, რომ მომავალში კიდევ უნდა გააქტიურდეს ქართული თეატრი, რათა ქართული მწერლობის, ქართული დრამატურგიის განვითარებას ხელი შეეწყოს.** – ამბობს ლია სულუაშვილი.

ეროვნული დრამატურგიის ფესტივალის ორგანიზება მესხეთის თეატრისთვის მარტივი საქმე არ არის. ისინი თავად უკავშირდებიან სხვადასხვა თეატრის დასს და სთავაზობენ ფესტივალში მონაწილეობას. გარდა ამისა, ავგარებენ ლოჯისტიკურ-საორგანიზაციო საკითხებს.

მზადების პროცესი არ არის მარტივი, ჩვენ ორი-სამი თვით ადრე ვიწყებთ საორგანიზაციო მუშაობას, ვუკავშირდებით თეატრებს, ვსწავლობთ მათ რეპერტუარს და შემდეგ ვინვერტ მონაწილეობისთვის; ვავარებთ სასტუმროებში განთავსება-დაბინავების, კვებისა და სხვა საჭიროებების საქმეებს.

იმისათვის, რომ ფესტივალი წარმართულიყო, მესხეთის თეატრს ფინანსური მხარდაჭერა ადგილობრივმა თვითმმართველობამ აღმოუჩინა: **20 000 ლარზე მეტი გამოგვიყო თვითმმართველობამ და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. როგორც წესი, ასეთი ფესტივალები ძვირადღირებულია, მაგ-**

რამ შევეცადეთ, ამ თანხაში, როგორცაა, გავგეგანა თავი და ვფიქრობთ, რომ – არც ურიგოდ. სოლიდური დაფინანსებისას, რა თქმა უნდა, უფრო სხვანაირად გაიშლებოდა მუშაობა.

წელს, ეროვნულ ფესტივალზე, მესხეთის თეატრმა შეძლო და მოიწვია ქართული თეატრის – 12 და უცხოური თეატ-

ლოვას თეატრი, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ისტორიიდან წარმოადგინა სპექტაკლი სახელწოდებით – **„ორს პლუს ერთი და ცხენი“.**

კითხვაზე, როგორი იყო უცხოენოვან სპექტაკლზე ადგილობრივი მაყურებლის რეაქცია, ლია სულუაშვილი პასუხობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, მაყურებელმა მსახიობის ოსტატობა იხილოს სცენაზე, ენობრივი ბარიერის მიუხედავად: **„უცხოენოვან სპექტაკლებზე მაყურებლის რეაქცია ძალიან დადებითია. რა თქმა უნდა, ენობრივი ბარიერი არსებობს, თუმცა, ხშირად ტიტრებიც არ ამართლებს, რადგანაც მაყურებელს აინტერესებს მსახიობის გარდასახვა, მსახიობის თამაში; ამ დროს კი, ტიტრებისკენ გაურბის თვალი, რომაგად იღლებს. მომავალში, როდესაც თეატრი კაპიტალურად გარემონტდება, გვაქვს ჩადებული გახმოვანების ფუნქციაც, სადაც მაყურებელი, გახმოვანების აპარატურას მოიგებს და ჩვეულებრივად ქართულ ენაზე წარიმართება**

ჩვენი მხრის მაყურებელი საოცრად მონადინებულია. დიდი მსურველია, რომ არა მარტო ქართული თეატრების სპექტაკლები იხილოს, არამედ საზღვარგარეთისაც. ეს კიდევ დამტკიცდა – მიუხედავად მძიმე პანდემიური მდგომარეობისა, მაყურებელი არ მოკლებია ჩვენს სპექტაკლებს; ყოველგვარი წესების დაცვით მოდიოდა ხალხი და არავითარი დისკომფორტი არ შექმნიათ.

25 ოქტომბერს ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი მესხეთის თეატრმა ვაჟა-ფშაველას უკვდავი **„სტუმარ-მასპინძლის“** ჩვენებით დაასრულა. იგი რეჟისორ **ვანო ხუციშვილის** ხელმძღვანელობით დაიგა.

ბევრი კარგი სპექტაკლი გვაქვს, მაგრამ ქართული დრამატურგია რომ გავითვალისწინეთ, იქ გავითვალისწინეთ ვაჟა-ფშაველა, მაინც, კლასიკაა. რეჟისორმა დადგმის საინტერესო ფორმა მოძებნა და, ამდენად, ჩვენ ეს სპექტაკლი შევთავაზებთ მაყურებელს და კიდევ ერთხელ დავარწმუნებთ,

„საჭირო და აუცილებელი“ მესხეთის თეატრმა ეროვნული დრამატურგიის ფესტივალს უმასპინძლა



რის – 2 კოლექტივი. **თბილისის, რუსთავის, თელავის, ფოთის, გორის, ბათუმის, უკრაინის, მოლდოვასა და, რა თქმა უნდა, მესხეთის თეატრებმა** მაყურებლისთვის ეროვნული წარმოდგენები გააცოცხლეს. როგორც ლია სულუაშვილი ამბობს, განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ უკრაინის თეატრმა, რეჟისორ **კახა გოგიძის** ხელმძღვანელობით, **ნინო მირზიაშვილის „მაცეკვე ტანგო“** წარმოადგინა.

ვუმასპინძლეთ უკრაინის თეატრს, რადგანაც ქართული სპექტაკლი იყო და ეს ძალიან მისასალმებელია, რომ ქართული დრამატურგია, ქართული მუსიკა აჟღერდა იქ; საინტერესოდაც წარიმართა და ძალიან დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაყურებლის მხრიდან.

ფესტივალზე სტუმრის სტატუსით იყო ჩამოსული მოლ-

რომ ძალიან კარგი სპექტაკლები გვაქვს.

ფესტივალის დახურვის დღეს, თეატრს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი** ესტუმრა. საღამოზე სიტყვით გამოსვლისას, მინისტრმა შეკრებულ საზოგადოებას ამცნო, რომ მომავალი წლიდან სამინისტრო მესხეთის თეატრის აღდგენას დაინწყებს.

მიუხედავად ბევრი სირთულისა, მიუხედავად პანდემიისა, დღეს მესხეთის თეატრში წარმატებით დავხურეთ ეროვნული დრამატურგიის საერთაშორისო ფესტივალი. მე მქონდა შესაძლებლობა, დახურვის ცერემონიაში მიმელო მონაწილეობა და მენახა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაყურებელი არის აქ (როგორც ყოველთვის ამ რეგიონში) ძალიან აქტიური. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ისინი კმაყოფილებით შეხვდნენ კულტურის სამინისტროს ინიციატივას – **უკვე მომავალი საბიუჯეტო წლიდან მესხეთის თეატრის ეს უნიკალური შენობა იქნება რეაბილიტაციის ნუსხაში და ჩვენ დავინყებთ მის აღდგენას, რათა ამ თეატრს, ამ დასს და ამ რეგიონს ჰქონდეს თეატრი, რომელსაც ის იმსახურებს** – განაცხადა თეა წულუკიანმა.

თეატრის რეაბილიტაციისა და მინისტრის დანაპირების შესრულების დიდი იმედი აქვს სამხატვრო ხელმძღვანელს. **„მჯერა, რომ იქნება ეს აუცილებლად“**, – ამბობს ლია სულუაშვილი.

თაქო ფიქციონალი
ჟურნალისტი

გოდები ჩიხლი – „ლიციატორული სუთშამათობის“ სცენატი

(სარედაქციო)

2004 წლის სექტემბერში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (იმ დროისთვის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი) „ლიციატორული სუთშამათობაზე“ ესტუმრა ცნობილი ქართველი მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩიხელი. სტუმარს ძალიან საინტერესო აუდიტორია დახვდა მის შემოქმედებაზე შეყვარებული სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, თანამშრომლების...

შეხვედრა გვიანობამდე გაგრძელდა. რედაქციის თანამშრომლებს გვახსოვს, როგორ არ ეთმობოდა აუდიტორიას ძვირფასი სტუმარი განმარტებისთვის... უამრავ კითხვაზე ითხოვდნენ პასუხს მისგან, იღებდნენ სამახსოვრო ფოტოკადრს მასთან...

შეხვედრის დასასრულს, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა თეონა მაჭარაშვილმა გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტისთვის“ ჩანერა ინტერვიუ, რომელიც დაიბეჭდა სათაურით – **„თქვენ დიდ სვეტებად შეუდგებით ჩვენს სამშობლოს...“**

ამონარიდი ინტერვიუდან: **„რადგან მწერლობა დავინყე, გადავწყვიტე, რომანი დამეწერა სიკვდილ-სიცოცხლეზე და მოვიგონე სათაური „ადამიანთა სვედა“.**

შევეჯექი როსინანტივით ცხენზე, დავინყე გუდამაყარში სიარული და ვინც შემხედვებოდა, ამ ორ კითხვას ვაძლევდი: **რა არის სიცოცხლე? რა არის სიკვდილი? შემდეგ ეს რომანი ავანყე თითქმის უცვლელად, თვითონ რასაც მპასუხობდნენ და მინდობდა, ისე დამემთავრებინა, რომ რომანის დასასრული ყოფილიყო ჩემი დასკვნა. აი, რა დამეხმარა:**

ჩვენთან, თიბვის დროს, უთენია ავდგებით ხოლმე და მივდივართ თივის მოსაგროვებლად. დედაჩემმა ადრე გამაღვიძა და შევუდექით მთის ფერდს. სათიბები ძალიან მაღლა გვაქვს. დედაჩემს საფორცხველი აქვს მხარზე გადებული და მეც საფორცხველით უკან მივყვები. არის ძალიან დიდი მთვარე; მთვარემ ხომ ეგრე იცის – ადამიანის ლანდს დააგრძელებს და ვხედავ, რომ დედაჩემის ლანდი დააგრძელა მთვარემ. გავაყოლე ამ ლანდს თვალი, ხევში ჩავიდა, ბექი აიარა, გორი გადაიარა, მერე სადღაც ჩავიდა, მერე დიდ მაღალ მთას აუყვია და იმ მაღალ მთაზე გადაიარა...

გესიამოვნება, რომ ამხელაა დედაჩემი, რომ მთებზე მაღლა არის. მერე ისევ მოვიხედე და ვხედავ, რომ დედაჩემი, თავის შრომით გატეხილი, ოდნავ წელში მოხრილი ქალი, წინ მიმიძღვება, უჭირს აღმართზე სიარული და მივხვდი, რაც იყო სიკვდილი და რაც იყო სიცოცხლე.

გამოვიქციე და მესმის დედაჩემის ხმა:

- შეილო, გოდერძი, სად გარბიხარ?
- ვიპოვე, დედი, ვიპოვე-მეთქი.
- რა იპოვეო, მკითხა.
- ვიპოვე აი, ეს ორი პასუხი: „სიცოცხლე სვედა არის, ადამიანად ყოფნის სვედა. სიკვდილიც სვედა არის, ადამიანად არყოფნის სვედა...“

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113

რედაქტორი
მარიანა ჯაღელაშვილი

ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge